



მიწის შესყიდვისა და საარსებო გარემოს აღდგენის გეგმა

შუახევის სქემა

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“



Adjaristsqali
Georgia
LLC

მაისი, 2013



მიწის შესყიდვისა და საარსებო გარემოს აღდგენის გეგმა

შუახვევის სქემა

მაისი, 2013

შპს. აჭარისწყალი ჯორჯია (შპს)

აბაშიძის ქ. 1. 6, 6010. ბათუმი, საქართველო.

გამოცემისა და შემოწმება/შესწორების ოქმი

შემოწმება:	თარიღი:	ავტორი:	ჩეკერი:	დაადასტურა:	აღწერა:
A	2013 წლის მაისი	ფ. როტმანი	მ. როუენი	ვ. ჰოვლენდი	პროექტი საკომენტაროდ
B	2013 წლის მაისი	ფ. როტმანი	მ. როუენი	ვ. ჰოვლენდი	საბოლოო ვერსია
C	2013 წლის სექტემბერი	ფ. როტმანი	მ. როუენი	მ. როუენი	შემოწმებული საბოლოო ვერსია შაჯის საკომენტაროდ

მოცემული დოკუმენტი გამოცემულია იმ მხარისათვის, რომელმაც დაავალა მისი შესრულება, და მხოლოდ იმ კონკრეტული მიზნებისათვის, რომელნიც დაკავშირებულია ზემოხსენებულ პროექტთან. დაუშვებელია ნებისმიერი სხვა მხარისათვის მოცემულ დოკუმენტზე დაყრდნობა ნებისმიერი სხვა მიზნისათვის.

იმ შემთხვევაში, თუკი ნებისმიერი სხვა მხარე დაეყრდნო მოცემულ დოკუმენტს, ან გამოიყენა იგი ნებისმიერი სხვა მიზნისათვის, ან კიდევ თუ მოცემული დოკუმენტი შეიცავს შეცდომას / გამოტოვებას, რომლის მიზეზი გახდა სხვა მხარეების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში შეცდომა / გამოტოვება, ჩვენ არ ვაგებთ არავითარ პასუხისმგებლობას შესაძლო შედეგებისათვის.

მოცემული დოკუმენტი შეიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციასა და მფლობელის ინტელექტუალურ საკუთრებას. დაუშვებელია მისი ჩვენება სხვა მხარეებისათვის, ჩვენი თანხმობისა და იმ მხარის თანხმობის გარეშე, რომელმაც მისი შიშროლობა იაააააააა.

შინაარსი:

თავი	სათაური	გვერდი
	წინასიტყვაობა	Error! Bookmark not defined.
1.	შესავალი	Error! Bookmark not defined.
1.1	ზოგადი მიმოხილვა	Error! Bookmark not defined.
1.2	მშსა: პროექტის მიზნები	2
1.3	პროექტი: არსებული სიტუაცია	3
1.4	პროექტის აღწერა	4
1.5	სქემის აღწერა	Error! Bookmark not defined.
1.6	მიწის ნაკვეთების შეძენითა და გადასახლებით გამოწვეული ზემოქმედების მინიმიზაციის მცდელობები	Error! Bookmark not defined.
1.7	მოცემული მშსა-ის ორგანიზაცია	11
2.	სოციო-ეკონომიკური დახასიათება	13
2.1	ზოგადი მიმოხილვა	Error! Bookmark not defined.
2.2	მეთოდოლოგია	Error! Bookmark not defined.
2.3	დემოგრაფიული პროფილი	14
2.4	ეკონომიკური კონტექსტი	Error! Bookmark not defined.
2.5	მიწის გამოყენება და ბუნებრივ რესურსთა მდგომარეობა	19
2.6	ჯანდაცვა	Error! Bookmark not defined.
2.7	განათლება და უნარ-ჩვევები	22
2.8	საცხოვრებელი პირობები	Error! Bookmark not defined.
2.9	სიღატაკე, დაკარგვა / ჩამორთმევა და მოწყვლადი ჯგუფები	24
3.	მიწის ნაკვეთების შეძენა და გადასახლება: პოტენციური ზარალი	27
3.1	ზოგადი მიმოხილვა	Error! Bookmark not defined.

3.2	მიწის ნაკვეთების შეძენა და გადასახლება: ნებაყოფლობითი და არანებაყოფლობითი	27
3.3	მიწის ნაკვეთთა შეფასებული შეძენა	27
3.4	მოსავლის შეფასებული დანაკარგები	30
3.5	ხეების დანაკარგთა შეფასება	30
3.6	შემოსავლის დანაკარგთა შეფასება	Error! Bookmark not defined.
3.7	შეფასებული მოწყვლადი დბ-ები	31
3.8	დბ-ებისა და დბ-ების შეჯამება	32
4.	სამართლებრივი ჩარჩოების მიმოხილვა	Error! Bookmark not defined.
4.1	ზოგადი მიმოხილვა	Error! Bookmark not defined.
4.2	საქართველოს ნორმები და კანონები მიწის ნაკვეთების შეძენასა და გადასახლების შესახებ	34
4.3	სფკ-ის, EBRD-ისა და ADB-ის მიერ მიწის ნაკვეთების შეძენა. არანებაყოფლობითი გადასახლება და გადაადგილებისას ეკონომიკური დაცვის უზრუნველყოფა	35
5.	რესურსთა შეფასების მეთოდები	Error! Bookmark not defined.
5.1	ზოგადი მიმოხილვა	Error! Bookmark not defined.
5.2	ჩანაცვლების ღირებულება როგორც საფუძველი კომპენსაციისათვის	37
5.3	კომპენსაციის მაჩვენებელთა განსაზღვრა	Error! Bookmark not defined.
5.4	რესურსებზე მონაცემთა შეგროვება ფასეულობის განსაზღვრის მიზნით	Error! Bookmark not de
6.	მიწის ნაკვეთების შეძენა და კომპენსაციის პროცესი	40
6.1	ზოგადი მიმოხილვა	Error! Bookmark not defined.
6.2	ინსტიტუციონალური ჩარჩოები	Error! Bookmark not defined.
6.3	შერჩევა AP-სა და სათემო კომპენსაციისათვის	41
6.4	ვარგისობის ამოწმების ვადა	41
6.5	საკომპენსაციო ანაზღაურებები	Error! Bookmark not defined.

7.	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა	Error! Bookmark not defined.
7.1	ზოგადი მიმოხილვა _____	Error! Bookmark not defined.
7.2	ინფორმაცია გახმაურება / გამოქვეყნება, კონსულტაცია და მონაწილეობა	Error! Bookmark not d
8.	საჩივრების მართვა და დაკმაყოფილება	Error! Bookmark not defined.
8.1	ზოგადი მიმოხილვა _____	Error! Bookmark not defined.
8.2	უზენაესი პრინციპი: პროექტთან დაკავშირებულ საჩივართა კომპენსაცია	Error! Bookmark not
8.3	საჩივრებით გამოწვეული დავების გადაწყვეტის პროცესი _____	Error! Bookmark not defined.
8.4	საჩივართა აღნიშვნა / ჩაწერა და პროტოკოლირება _____	Error! Bookmark not defined.
9.	საარსებო საშუალებათა აღდგენა	50
9.1	ზოგადი მიმოხილვა _____	Error! Bookmark not defined.
9.2	უნარ-ჩვევათა თრენინგები და ადგილობრივ კადრთა დასაქმების პრიორიტეტი _____	50
9.3	კომპენსაციის ფინანსური მართვა _____	Error! Bookmark not defined.
9.4	ფინანსური დახმარება საარსებო საშუალებათა აღდგენის მხარდასაჭერად	Error! Bookmark not
9.5	მიწაზე მესაკუთრეობის დაკანონება (ლეგალიზაცია) _____	Error! Bookmark not defined.
10.	მონიტორინგი. შეფასება და ანგარიშგება	52
10.1	ზოგადი მიმოხილვა _____	Error! Bookmark not defined.
10.2	შიდა მონიტორინგი _____	52
10.3	გარე მონიტორინგი _____	53
10.4	დასრულებული გადასახლების აუდიტი _____	Error! Bookmark not defined.
11.	განრიგი და ბიუჯეტი	54
11.1	ზოგადი მიმოხილვა _____	Error! Bookmark not defined.
11.2	განრიგი _____	Error! Bookmark not defined.
11.3	პროექტთან დაკავშირებით მიწის ნაკვეთთა შეძენის ბიუჯეტი _____	57

დანართები

Error! Bookmark not defined.

დანართი A. სენსუსის / აღწერის გზით მოპოვებული ინფორმაცია _____

დანართი B. ბუკლეტი საჯარო ინფორმაციით _____ **Error! Bookmark not defined.**

დანართი C. საინფორმაციო ფურცლის ნიმუში _____

წინასიტყვაობა

2010 წლის მაისში, შპს. აჭარისწყალი ჯორჯია (შაჯ)-მ მოიპოვა დიდი წარმატება: მას მიენიჭა კონცესიური უფლება სამი პოტენციური ჰიდროელექტროსტაციის აშენებისა მდ. აჭარისწყალზე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველო). კონცესიები მიღებულ იქნა მდ. აჭარისწყალის შემდეგ სექციებზე: შუახევის, კორომხეთისა და ხერთვისის (გარკვეული შენაკადებით). მთლიანობაში კი, ეს შეადგენს მდინარე აჭარისწყალის ჰიდროელექტროსადგურთა კასკადის პროექტს (პროექტი).

პროექტის გარემოსა და საზოგადოებაზე ზემოქმედების შეფასება (გზმ) შესრულდა ტექნომზადების სტადიაზე (2011 წლის ივლისი - 2012 წლის აგვისტო), მისი ფინალური ვერსია კი მომზადდა 2012 წლის ოქტომბერში. მოცემული გზმ, მის ფინალურ სტადიაზე, მომზადდა სამივე სექციის კონცესიის გათვალისწინებით (შუახევის, კორომხეთი და ხერთვისი).

გზმ-ს შემდეგ, და მის კვალობაზე, შედგა დეტალური ინჟინრული დიზაინი. ამ პროცესში გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და გარემოსდაცვითი რისკები გააჩნია ხერთვისის სექსამს, თანაც პოტენციური სირთულეები თან ახლავს სამშენებლო სამუშაოებს - განსაკუთრებით, დაგეგმილი მაჭახელას ეროვნული პარკის საზღვრებში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შაჯ-მ დაადასტურა, რომ, თუმცაღა იგი შეინარჩუნებს მიმდინარე კონცესიას, ხერთვისის სექსა არ იქნება ჩართული მესამე ფაზაში, ანუ პროექტის ფინალურ ფაზაში. შესაბამისად, პროექტი განვითარდება მხოლოდ შუახევისა და კორომხეთი სექციების მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ გზმ-მ რამდენიმე მცირე გადახედვა განიცადა (პროექტის მცირე შესწორებათა გამო, 2013 წლის ივლისში), ხერთვისის სექსა შენარჩუნებულ იქნება გზმ-ს შიგნით იმის გასათვალისწინებლად, რომ არსებობს საჭიროება ყველა იმ სექციის კუმულატიურ უკუ-ეფექტთა შეფასებებისა, რომელ პროექტებზეც შაჯ-ს კონცესია გააჩნია. მიუხედავად ამისა, ხერთვისის სექსასთან დაკავშირებული პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედები ვეღარ ჩაითვლება რელევანტურად, თუკი შევაფასებთ მთლიანად პროექტის გარემოსდაცვითსა და სოციალურ ზემოქმედებს. გზმ-ს ნებისმიერი განხილვა უნდა მოხდეს ღრმა გათვალისწინებით ამ ცვლილებების პროექტის დიზაინში, და განსაკუთრებით, შემდეგ თავებში მოცემული ზემოქმედების შეფასების დროს გამოვლენილი უკუ-ეფექტთა შეფასები (ხერთვისის სექსასთან დაკავშირებით) უნდა იქნას უგულებელყოფილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (ბსგ, BAP) მომზადდა გზმ-ს კვალდაკვალ და გამოქვეყნდა 2012 წლის ნოემბერში. მასში ანალოგიურად არის ჩართული ხერთვისის სექსა. ბსგ-ში პერიოდულად შეგვაქვს ცვლილებები, და მისი ახალი გამოცემისას, მასში ასევე შენარჩუნდება მითითება ხერთვისის სექსაზე, მაგრამ გარემოსდაცვითი ბაზისის საზღვრებში, მხოლოდ იმ მიზნით, რომ აისახოს უფრო ფართო რეგიონალური კონტექსტი. ხერთვისის სექსა ამოღებული იქნება როგორც კრიტიკული ჰაბიტატების შეფასების, ასევე ბსგ-ს გამოვლენილ ღონისძიებათა მიზნით.

1. შესავალი

1.1 ზოგადი მიმოხილვა

შპს. აჭარისწყალი ჯორჯია (Adjaristskali Georgia LLC (შაჯ)¹) წარმოადგენს მდ. აჭარისწყალზე ჰიდროელექტროკასადის პროექტის განმახორციელებელს საქართველოში. შუახევის სქემა (სქემა) არის სამიდან ერთ-ერთი ქვე-პროექტი აჭარისწყალის ჰიდროელექტროკასადის პროექტისა (პროექტი). მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს საარსებო საშუალებათა აღდგენის გეგმას (მშსა) შუახევის სქემისათვის.

პროექტის გადასახლების დაგეგმარებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი შემუშავებულ იქნა საქართველოს მიწამფლობელობისა და მიწითსარგებლობის კანონმდებლობის გათვალისწინებით და სხვა რელევანტურ კანონებზე დაყრდნობით. ეს დოკუმენტაცია ისეთნაირად შემუშავდა, რომ აკმაყოფილებდეს 2012 წლის მოთხოვნებს საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისა (სფკ), კერძოდ, ფუნქციონირების სტანდარტს #5: მიწის ნაკვეთების შეძენა და არანებაყოფლობითი გადასახლება, აგრეთვე, 2008 წლის რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი (რგებ, გრებ (EBRD)) შედეგის მიმართ მოთხოვნას #5: მიწის ნაკვეთების შეძენა, არანებაყოფლობითი გადასახლება და ეკონომიკურ კავშირთა გაწყვეტა, დაბოლოს, 2009 წლის აზიის განვითარების ბანკი (აგბ, ADB) საგარანტიო მოთხოვნას #2: არანებაყოფლობითი გადასახლება.

1.2 მშსა: პროექტის მიზნები

მოცემული მშსა ხელმძღვანელობს პროექტის 2012 წლის დოკუმენტით - მიწის ნაკვეთების შეძენისა და საარსებო საშუალებათა აღდგენის ჩარჩო-დოკუმენტი (მშსაჩ). მშსაჩ-ს მიზანს წარმოადგენს, უზრუნველყოს ზედამხედველობა და ხელშეწყობა მიწის ნაკვეთების შეძენისა და გადასახლების ამოცანების მომზადებასა და განხორციელებაში პროექტისათვის. მშსაჩ-მ დასახა სტანდარტული მიდგომა მიწის ნაკვეთების შეძენასა და საარსებო საშუალებათა აღდგენის მიმართ, პროექტთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობაში. მშსაჩ-ში გამოვლენილია ის პროცედურები და მოთხოვნები, რომელნიც გაუძღვება შაჯ-ს იმ მაცხოვრებლებთან ურთიერთობისას, რომელთაც განიცადეს მიწისა და საკუთრების დანაკარგი პროექტის გამო.

პროექტის სახელმძღვანელო მშსაჩ-პრინციპები შემდეგია:

- მიწის ნაკვეთების შეძენა და გადასახლება მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ან სულაც თავიდან აცილებული, სადაც კი არსებობს ამის შესაძლებლობა. იქ, სადაც გადასახლება გარდაუვალია, გამოყენებული იქნება მოცემულ ჩარჩო-დოკუმენტში დასახული პროცედურები და მოთხოვნები. გადასახლების სამოქმედო გეგმები ან მშსაგ ისეთნაირად შედგება, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს (ნეგატიური ზემოქმედების) ზემოქმედები.
- შაჯ მიზნად დაისახავს, მიაღწიოს მოლაპარაკების შედეგად მიღებულ ხელშეკრულებათ მიწის ნაკვეთების შეძენის შესახებ ყველა დაზარალებულ პირთან (დპ-ებთან) იმ პრინციპების საფუძველზე, რომელნიც განსაზღვრულია მოცემულ ჩარჩო-დოკუმენტში. შაჯ ღია და სამართლიან მოლაპარაკებას ჩაატარებს ყველა დპ-ებთან, რათ მიღწეულ იქნას კომპენსაციის შესახებ ორმხრივად

¹ შპს. აჭარისწყალი საქართველო წარმოადგენს ქლიარ ენერგი ინვესტ ეი-ეს-ის (Clean Energy Invest AS) შვილობილ კომპანიას.

მისაღები ხელშეკრულებები. ექსპროპრიაცია გამოყენებული იქნება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როგორც უკანასკნელი საშუალება უიღბლო მოლაპარაკებისა.

- მიწის ყველა ნაკვეთის შეძენა და გადასახლების ოპერაცია წარმართული იქნება გადასახლების სამოქმედო გეგმების თანახმად (როდესაცსაქმე გვაქვს ფიზიკურ გადაადგილებასთან, რაც ნიშნავს ადგილმდებარეობის შეცვლას, ან კიდევ თავშესაფარისა თუ შენობა-ნაგებობის დაკარგვას) ან მშსაგ (როდესაც სახეზეა ეკონომიკურ კავშირთა გაწყვეტა, რომელიც ნიშნავს შემოსავალისა ან საარსებო საშუალებათა დაკარგვას). განხორციელების შედეგები იქნება დოკუმენტირებული და ჩატარდება გადასახლება-დაკარგვის მონიტორინგი.
- ყველა დპ-ს აღმოუჩენენ ღრმა და აზრიან კონსულტაციას ისეთნაირად, რომ დპ-ები იყოს მოლაპარაკებათა აქტიური და სრულყოფილი მხარე. კონსულტაციის გაწევა გაგვთავაზობს გენდერულ საკითხებს და დაინტერესებული პირების (რომელნიც შესაძლოა განიხილებოდეს როგორც მოწყვლადი მხარე) საჭიროება-მოთხოვნებსაც. პროექტის კონტექსტში, მრავლი თუ არა ყველა დაზარალებული კომპლექსი განიხილება როგორც მოწყვლადი მხარე.
- დპ-ები უზრუნველყოფილი იქნებიან მხარდაჭერით მათ მცდელობებში, გააუმჯობესონ საკუთარი საარსებო საშუალებები და საცხოვრებელი სტანდარტები ან, სულ ცოტა, აღადგინონ ეს სტანდარტები და საშუალებანი პროექტამდელ დონეზე, ან კიდევ იმ დონემდე, რომელიც, ზოგადად, უფრო მაღალი იყო - მანამდე, სანამ პროექტის განხორციელება დაიწყებოდა.

კომპენსაცია იქნება გადახდილი, როდესაც კომპანია დარეგისტრირდება როგორც მესაკუთრე, და მანამდე, სანამ დაიწყება სამშენებლო სამუშაოები დაზარალებულ არეალში. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იქნება ნებადართული სამუშაოს დაწყება კომპენსაციის ჯერ-ჯერობით გადახდის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუკი საკითხი წამოიჭრება კომპლექსის მცირე რიცხვთან, შაჯ-ს მოახდენს დროებით გარიგებებს ამ დაზარალებულ კომპლექსთან (დკ-ებთან) დაეს ხელშეკრულებები ჯეროვნად იქნება დოკუმენტირებული, ხოლო გამონაკლისი გარემოებანი ნათლად ახსნა-განმარტებული.

1.3 არსებული სიტუაცია: პროექტამდე

საქართველოს მთავრობის ეროვნული პოლიტიკა მიმართულია მთლიანად ქვეყნის განვითარებაზე და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე. ჰიდროელექტროსექტორი წარმოადგენს პრიორიტეტს ამ განვითარების საქმეში, ვინაიდან საქართველოს გააჩნია შეფარდებითი უპირატესობა, რაც დაკავშირებულია მთიან რეგიონებში მდინარეების არსებობასა და ნალექების მაღალ დონესთან. ენერგოსექტორში ინვესტიების წყალობით, საქართველო ასევე მიაღწევს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას და გარანტირებულ (უსაფრთხო) ენერგომოწოდებას. ამასთან ერთად, ელექტროენერგია განიხილება საქართველოში როგორც საექსპორტო საქონელი, ასე რომ, ეს სფერო ამიტომაც ეს პოტენციალი ასევე მოითხოვს შემდგომ განვითარებას.

შპს. აჭარისწყალი ჯორჯია (შაჯ), კომპანია Clean Energy Invest AS-ის შვილობილი კომპანია, კონკურენტული ტენდერის საფუძველზე მიენიჭა საქართველო ტერიტორიაზე, აჭარისწყალის ჰიდროელექტროკასადის პროექტის განხორციელების უფლება. შაჯ არის წამოყენებული პროექტის ავტორი. პროექტის განხორციელება ხდება თანამშრომლობით საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციასთან (IFC ანუ სფკ) ინფრავენჩერზ, მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი და ადრეულ

სტადიაზე პროექტის განმახორციელებელი, რომელიც სფკ-ის მიერ იყო აქტივიზირებული. სხვა კრედიტორებს, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი (რგებ, გრებ (EBRD)) და აზიის განვითარების ბანკი (აგბ, ADB) ჩათვლით, აგრეთვე სრული უფლება აქვთ, პროექტში მიიღონ მონაწილეობა.

2011 წლის აპრილში, შაჯ-მ დაავალა კომპანიას *მოტ მაკდონალდ ლიმიტედ* (Mott MacDonald Limited), შეესრულებინა განხორციელებადობის შესწავლა, და აგრეთვე გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება (გზშ). *მოტ მაკდონალდ ლიმიტედ*-თან კოორდინირებული მოქმედებით, ადგილობრივმა კონსულტანტმა, კომპანიამ გამა კონსალტინგ ლიმიტედ (გამმა Consulting Limited), დაიწყო გზშ-ს განხორციელებასთან დაკავშირებული სამუშაოთა მთელი სპექტრი ქვეყანაში. მიწის ნაკვეთთა შეძენის უზრუნველყოფა, გადასახლებასთან დაკავშირებული რჩევები და მოცემული გეგმის განხორციელება ასევე წარმოადგენს ნაწილს გზშ-დავალებისა.

1.4 პროექტი აღწერა


პროექტის ადგილმდებარეობას წარმოადგენს მდინარე აჭარისწყალი სამხრეთ საქართველოში, თურქეთის რესპუბლიკასთან საზღვრების უშუალო სიახლოვეს. იხილეთ რუკა და უმთავრესი საიტები ნახ. 1.1 (მომდევნო გვერდზე).

მოსალოდნელია, რომ აჭარისწყალის ჰიდროკასკადის პროექტის მთლიანად დაყენებული სიმძლავრე 400 მეგავატს მიაღწევს. პროექტი სამი კასკადის სქემისაგან შედგება: ესენია შუახევი (185 მეგავატი), კორომხეთი (150 მეგავატი), და ხერთვისი (65 მეგავატი). ეს მოგვცემს 500-დან 1200-მდე გვტ/სთ საშუალო წლიურ განახლებად ელექტროენერგიას, იმისდა მიხედვით, ერთი თუ სამივე სქემა ამოქმედებული.

დეტალური საინჟინრო დიზაინის ვალდებულება აღებულ იქნა გზშ-ს გამოქვეყნების კვალობაზე, 2011 წლის ოქტომბერი. მოცემული პროცესის განმავლობაში, გამოავლინდა, რომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და გარემოსდაცვითი რისკები თან ახლდა ხერთვისის სქემას, სამშენებლო ოპერაციებისათვის პოტენციური საშიშროების ჩათვლით - მაჭახელას ეროვნული პარკის დაგეგმილ საზღვრებში. ამ მოსაზრებათა გამო, შაჯ დაადგურა, რომ თუმცა იგი ამჟამად შეინარჩუნებს კონცესიას, ხერთვისის სქემა არ იქნება გათვალისწინებული ვითარმცა ნაწილი პროექტის მესამე და ფინალური ფაზისა. განსახორციელებელი პროექტი, შესაბამისად, უნდა მოიცავდეს მხოლოდ შუახევისა და კორომხეთი სქემებს. პროექტი მოამარაგებს საქართველოსა და თურქეთი ენერგოსისტემებს განახლებადი ენერგიით. ამ ენერგიის უმეტესი ნაწილი ექსპორტირებული იქნება თურქეთში, თუმცა პროექტმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს ქსელი წელიწადის სამი თვის მანძილზე (დეკემბრიდან ვიდრე თებერვლამდე) პიკი მოთხოვნის დროს, მუშაობის პირველი 10 წლის განმავლობაში. პროექტს დასჭირდება გადასაცემი ხაზები იმისათვის, რათა წარმოებული ელექტრობა მიეწოდოს, ქვესადგურების მეშვეობით, საბოლოო მომხმარებლის სასარგებლოდ².

² გადამცემი ხაზები იქნება საგანი ცაკლული ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევებისა. ახალი, 220 კილოვოლტიანი გადამცემი ხაზი აშენდება ძირითადად არსებული გადამცემი ხაზის დერეფნის გაყოლებაზე, რომელიც მიჰყვება ხეობას ბათუმიდან ახალციხემდე.

ნახ. 1.1: პროექტის ადგილმდებარეობა ყველა სექმის ჩვენებით



წყარო: Mott MacDonald Ltd

1.5 სექმის აღწერა

შუახევის ჰიდროელექტროსქემას ექნება 185 მეგავატის ტოლი დაყენებული სიმძლავრე. პროექტი გვთავაზობს ორი კაშხლის მოწყობას, რეზერვუარებით, შესაბამისად, მდინარეებზე აჭარისწყალი და სხალთა, და აგრეთვე ერთი წყალგამყვანი საგუბარიით მდ. ჩირუხისწყალზე. მდინარის წყალი გვირაბების მეშვეობით გაიყვანება წყლის მდ. სხალთა და მდ. ჩირუხისწყალზე განლაგებული გამყვანი წერტილებიდან, შემდეგ კი იგი მიმართული იქნება დიდაჭარას რეზერვუარში (მდ. აჭარისწყალზე), და ამის მერე, მიმყვანი გვირაბით, წყალი წარიმართება აქედან შუახევის ჰეს-ის მიმართულებით. დაბალი სიმძლავრის მქონე (10-მეგავატიათი) ჰეს მოეწყობა მდ. სხალთაზე იმ წყლის გამოყენებით, რომელიც გადატანილ იქნა მდ. ჩირუხისწყალი, მაშინ როცა მთავარი ენერგობლოკი (შუახევის ჰეს) განლაგდება მდ. აჭარისწყალის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. შუახევთან, მდ. აჭარისწყალისა და მდ. ჩირუხისწყალის შერწყმის ადგილიდან შორიხლოს.

გამოითქვა შემოთავაზება, რომ ახალი 220-კილოვოლტიათი გადამცემი ხაზი ჩაშენდეს არსებულ ეროვნულ ქსელში, ბათუმისა და ახალციხის ქვესადგურების შესართებლად. გადამცემი ხაზის მშენებლო ცალკეულ პროექტს წარმოადგენს და მისი განხორციელება მოხდება ეროვნული ნებართვისმომცემი მოთხოვნების შესაბამისად (სხვათა შორის, აქ შედის ავტონომიური გზმ-ს

290038/TRD/EFR/შსა/B 31 2013 წლის მაისი

C:\დოკუმენტები და Settings\rot62082\My დოკუმენტების\პროექტის\საქართველოს\აჭარა\შუახევის\განახლდეს მშსა ოქტომბერი, 2013 წლის\მშსა\შუახევის მშსა Rev C FINAL 30 08 13 - new ტაბულაშის.doc

შემუშავების მოთხოვნაც). გადამცემი ხაზის აწყობა არ წარმოადგენს ნაწილს ოპერაციებისა, რომელთათვისაც შაჯ-ს სჭირდება ფინანსური დახმარება.

ნავარაუდებია, რომ აჭარისწყალის ჰიდროელექტროკასკადი იქნება პიკი ელექტროსადგური, რომლის წყალობითაც კასკადი იმუშავებს მაქსიმალურ სიმძლავრეზე, მაღალი ელექტრომოთხოვნის პერიოდის განმავლობაში, ვთქვათ, როდესაც თურქეთში ელექტროდენზე ფასები მაღალია (ელექტრობაზე ფასები მერყეობს დღის პერიოდების მიხედვით).

თითოეულ სქემას მცირე რეზერვუარები გააჩნია წყლის დღიური მარაგის შესაქმნელად: ეს მარაგი კი საშუალებას აძლევს სქემებს, იმუშაოს სრულ დატვირთვაზე დღის შერჩეულ საათებში - ამით დაკმაყოფილდება პიკური მოთხოვნილება. შუახვევის სქემის დიზაინი გადამწყვეტი პარამეტრები წარმოადგენილია **ტაბულა 1.1** და **ნახაზი 1.2** (მომდევნო გვერდზე).

ტაბულა 1.1: შუახევის სქემის კომპონენტები

№	სქემის კომპონენტები	ძირითადი პარამეტრები
1	წყლის ნაკადის საკონტროლო ნაგებობა მდ. ჩირუხისწყალზე: ბეტონის საგუბარი, მდინარის კალაპოტის ტიპის წყალამღები შლამის დასაღეჭი.	კაშხლის სიმაღლე – 5 მ.; კაშხლის ფსკერი ნიშნული – 912 მ.ზ.დ.
	გადაცემა – მდ. ჩირუხისწყალი საგუბარიდან ფოლადისხაზიან გვირაბზე	გვირაბის სიგრძე – 6,4 კმ.; გვირაბის დიამეტრი – 3,7 მ.; დინება 10,6 მ³/წმ;
	სხალთას ჰეს	ელექტროსადგურის ტიპი – ზედაპირული; დაყენებული სიმძლავრე – 9,8 მეგავატი; წყლის ნაკადი – 10,6 მ³/წმ; ტურბინის ტიპი – ვერტიკალური <i>პელტონი</i> ; ტურბინების რაოდენობა (2 x 4,9 მეგავატი).
2	წყლის სარეგულაციო ნაგებობა მდ. სხალთაზე: კაშხლისა და დლიური რეგულაცია რეზერვუარი	კაშხლის ტიპი: ბეტონის კაშხალი; კაშხლის სიმაღლე: 22 მ.; რეზერვუარი ტიპი: დლიური რეგულაცია; რეზერვუარი მოცულობა მაქს. ავსების პირობებში: 493,000 მ³; რეზერვუარი სარკის ზედაპირის ფართობი: 194,000 მ².
	სხალთას წყალამღები	საოპერაციო დონეები: 790 მ-დან 800 მ-მდე
	გადასატანი გვირაბი სხალთა - დიდაჭარა	გვირაბის სიგრძე – 9,4 კმ.; გვირაბის დიამეტრი – 6,0 მ.; ტევადობა – 48 მ³/წმ;
3	დიდაჭარას სათაო ნაგებობა: კაშხალი და რეზერვუარი	კაშხლის ტიპი: ბეტონის კაშხალი; ნიშნული კაშხლის ფსკერზე – 780 მ.ზ.დ.; კაშხლის სიმაღლე – 39 მ. რეზერვუარი ტიპი: დლიური რეგულაცია; რეზერვუარი ტევადობა: 623,000 მ³; რეზერვუარი სარკის ზედაპირის ფართობი: 169,000 მ².
	დიდაჭარა წყალამღები	საოპერაციო დონეები: 770 მ-დან 780 მ-მდე
	წყლის გადატანის დივერსიფიკაციული გვირაბი: დიდაჭარას სათაო ნაგებობიდან შუახევის ენერგობლოკამდე.	გვირაბის სიგრძე: 16,6 კმ.; გვირაბის დიამეტრი – 6,2 მ.; ტევადობა – 48 მ³/წმ;
4	გასათანაბრებელი შახტი	სიმაღლე – 154,9 მ.; დიამეტრი – 12,0 მ.

მიმცვანი გვირაბი	სიგრძე - 0,05 კმ.; დiameterი - 6,2 მ.; ტევადობა - 48 მ ³ /წმ.
სადაწნეო შახტი	სიმაღლე - 370,7 მ.; diameterი - 6,2 მ.
სადაწნეო გვირაბი	პირველი სექცია: სიგრძე - 0,706 კმ.; diameterი - 6,2 მ.; ტევადობა - 48 მ ³ /წმ. მეორე სექცია (ფოლადის შრე): სიგრძე - 0,499 კმ.; diameterი - 4,5 მ.; ტევადობა - 48 მ ³ /წმ.
ტურბინის გვირაბები	სიგრძე - 17 მ.; diameterი - 3,2 მ.
ელექტროსადგური	ჰეს-ის ტიპი - ზედაპირული; დაყენებული სიმძლავრე: 175 მეგავატი; წყლის ნაკადი - 48,9 მ ³ /წმ; ტურბინის ტიპი: <i>ფრენსისი</i> ; ტურბინების რაოდენობა: 2 ერთეული (2 x 87,5 მეგავატი).

ამ სექმაზევე განთავსდება შემდეგი სამშენებლო ბანაკები:

- მდინარე მდ. ჩირუხისწყალის დამბასთან უშუალო სიახლოვეს;
- სხალთას დამბასთან უშუალო სიახლოვეს;
- დიდაჭარა დამბასთან უშუალო სიახლოვეს;
- შუახევის ჰეს-ის ენერგობლოკის მახლობლად; და
- ერთი ან ორი სამშენებლო შტოლნის შემოსასვლელთან.

იგეგმება, რომ დიდაჭარას და სხალთას ბანაკები დააბინავებს 100-150 პერსონალის წევრს, ხოლო მომცრო ბანაკი, მდ. ჩირუხისწყალზე, დაახლოებით 50 თანამშრომელს მისცემს თავშესაფარს. ძირითად ბანაკში, ენერგობლოკთან, დაგეგმილია დროებითი ინფრასტრუქტურები დაახლოებით 400 თანამშრომლისათვის. სამშენებლო პროცესის პიკზე, 600-დან 800-მდე თანამშრომელი დასაქმდება. ყველა სამშენებლო ბანაკი აღჭურვილი იქნება ოფისებით, საცხოვრებელი სივრცით მუშებისათვის, სამუშაო ოთახებით სხვადასხვა პროფილი მუშაკებისათვის, შესანახი დარბაზებითა და ბეტონის ერთეულებით. იხ. ნახაზი 1.2 შემდეგ გვერდზე, სადაც უფრო დეტალური ინფორმაცია არის გამოსახული სექმის სახით.

შუახევის ჰიდროელექტროსექმა დაგეგმილია როგორც ქვე-პროექტებიდან პირველი, რომელიც აშენდება და იქნება დამონტაჟებულ. იმავდროულად, იგი ყველაზე სრულყოფილია, დაგეგმარებისა და განხორციელების ყველა ასპექტის თვალსაზრისით, მიწის ნაკვეთთა შეძენის მენეჯმენტის ჩათვლით.

შემდეგი იქნება დამახასიათებელი შუახევის სექმისათვის:

290038/TRD/EFR/შსსა/B 31 2013 წლის მაისი

C:\დოკუმენტები და Settings\rot62082\My დოკუმენტებისპროექტის\საქართველოსაქარაშუახევისგანახლდესd შსსა ოქტომბერი, 2013 წლის\შსსა\შუახევის შსსა Rev C FINAL 30 08 13 - new ტაბულამის.doc

- მიწის ნაკვეთების დროებითი შეძენა: სამშენებლო მოწყობილობის საიტებისათვის, დასაწყობების ადგილები, სამშენებლო საამქროები / ვორკშოპები და ა.შ.; და აგრეთვე
- მიწის ნაკვეთების პერმანენტული შეძენა: რეზერვუარისათვის, რეზერვუარის ბუფერული ზონისათვის, ელექტროსადგურისათვის, გასათანაბრებელი შახტებისათვის, შლამის დასაღეჭად, გვირაბის პორტალისათვის, გვირაბის შტოლებისათვის, მისასვლელი გზები, გამოყენებული მასალის გადასაყრელად და ა.შ.

2013 წლის აპრილში, შაჯ-მ გამოავლინა, რომ ესაჭიროება დაახლოებით 490 000 მ² ტერიტორიის შეძენა შუახევის სქემისათვის:

- 250 000 მ² - რეზერვუარისათვის და 5 მ - საბუფერო ზონისათვის;
- 100 00 მ² - ნარჩენების გადასაყრელად;
- 100 000 მ² - გზებისა და შენობებისათვის; დაბოლოს,
- 40 000 მ² - რეზერვუარისათვის (ტყე ეკუთვნის ორ სოფელს: წაბლანასა და წაბლიანს). მოცემულ სქემას დამატებითი მიწის შეძენა აღარ დასჭირდება.

1.6 მიწის ნაკვეთების შეძენითა და გადასახლებით გამოწვეული ზემოქმედების მინიმიზაციის მცდელობები

დიზაინის ერთ-ერთი პრინციპი, რომელიც იქნა რეალიზებული განხორციელებადობის შესწავლა დროს (2011-2012 წლებში) ასეთი იყო: მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მიწის ნაკვეთების შეძენა და გადასახლება. მაგალითად, გამოკვლევაში შეიზღუდა რეზერვუარის გაჭიმულობა, რათა თავიდან იქნას აცილებული სოფლების დატბორვა. სქემის დიზაინი მიზნად ისახავდა ფიზიკური გადაადგილების თავიდან აცილებას. სქემაზე მოცემული არეალის გეოლოგიამ განაპირობა დიზაინის შეზღუდვები, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკურ კავშირთა გაწყვეტას (მიწის დაკარგვის სახით) გვერდს ვერ აუვლი. დეტალური დიზაინის განხორციელების დროს, გაკეთებული იყო მცდელობა, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი იმ მიწის რაოდენობა, რომელიც პერმანენტულად უნდა იქნას შეძენილი.

1.7 მოცემული მშს-ის ორგანიზაცია

მოცემული მშს-ს შემდეგი სახის ორგანიზაცია გააჩნია:

- მე-2 სექცია: სოციო-ეკონომიკური დახასიათება – მოცემულ განაკვეთში აღწერილია დაზარალებული კომლებისა და მთელი მათი თემების სოციო-ეკონომიკური კონტექსტი.
- მე-3 სექცია: მიწის ნაკვეთების შეძენისა და საარსებო საშუალებათა აღდგენის პოტენციური ზემოქმედები – მოცემული სექცია გვამცნავს ამ სქემის ოპერაციებთან დაკავშირებული გადაადგილების მასშტაბის შეჯამებულ შეფასებას.
- მე-4 სექცია: სამართლებრივი ჩარჩოების მიმოხილვა - მოცემული სექცია გვთავაზობს საქართველოში მიწის ნაკვეთთა შეძენის სამართლებრივი საფუძვლის მოკლე შეჯამებას და აგრეთვე შეჯამებას რელევანტური საერთაშორისო ნორმების და რეგულაციებისა;
- მე-5 სექცია: რესურსთა შეფასების მეთოდები – მოცემულ განაკვეთში აღწერილია ის მეთოდები, რომელნიც გამოიყენება განსაზღვრისათვის კომპენსაციის განაკვეთისა და სავსე საშუალებისა, რომელნიც არის ჩასატარებული დაზარალებული კომლების საარსებო საშუალებათა წყაროების დასადგენად.
- მე-6 სექცია: მიწის ნაკვეთების შეძენა და კომპენსაციის პროცესი – მოცემულ განაკვეთში აღწერილია უკუ-ეფექტთა მართვის პროცესს, ინსტიტუციონალურ ჩარჩოებსა და უფლების მიმცემი საფუძველს.
- მე-7 სექცია: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა - მოცემულ განაკვეთში აღწერილია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესს, რომელიც იყო და იქნება ამოქმედებული დპ-ებისა და გადასახლებასთან დაკავშირებული პირების მიმართ.
- მე-8 სექცია: საჩივრების მართვისა და დაკმაყოფილების მექანიზმი – მოცემული სექცია განსაზღვრავს პროცესსა და პროცედურებს, რომელიც იქნება გამოყენებული, რათა დპ-ებს მიეცეს უფლება, გააპროტესტონ ის, რაც უსამართლოდ მიაჩნიათ ან დააკმაყოფილონ საჩივარი / პრეტენზიები;
- მე-9 სექცია: საარსებო საშუალებათა აღდგენის ოპერაციები – მოცემულ განაკვეთში აღწერილია იმ ზომებსა და ღონისძიებებს, რომელიც გასცდება მხოლოდ კომპენსაციას და მიმართულია იმაზე, რომ შეარბილოს და შეამსუბუქოს საარსებო საშუალებათა აღდგენის პროცესი, და აგრეთვე ხელი შეუწყოს დპ-ებისა და მთლიანად თემის კეთილდღეობასა და განვითარებას; დაბოლოს

- მე-10 სექცია: მონიტორინგი და შეფასება – მოცემულ სექციაში წარმოდგენილია მიმდინარე მონიტორინგისა და შეფასების პროცესი.

2. სოციო-ეკონომიკური დახასიათება

2.1 ზოგადი მიმოხილვა

მოცემულ განაკვეთში აღწერილია დაზარალებული კომლემბი (დკ-ები) და დაზარალებული პირები (დპ-ები), და ასევე მათი თემები, რომელნიც ცხოვრობენ შუახევის სქემის არეალში. ინფორმაციის საფუძველი შემდეგია:

- დკ/დპ კომლეთა სენსუსი და მატერიალური ქონების პოტენციური დანაკარგის დეტალური გაზომვა 369 დპ-ების მიერ (ცნობილი დპ-ების 100%). ეს დკ/დპ-ები ცხოვრობენ შემდეგ სოფლებში: დიდაჭარა, დიაკონიძეები, გელდაძეები, გურთა, იაკობაძეები, მახალაკიძეების, ახალდაბა, ჩანჩხალო, კვატია, ფაჩხა და წაბლანა. სენსუსმა გამოავლინა ოჯახის ყველა წევრის რიცხვი და სქესი. აგრეთვე, დეტალურმა გამოკვლევამ აჩვენა/დაარეგისტრირა: ქონების ტიპი და ასაკი, სიდიდე, ნაყოფიერება, ხარისხი ან მდგომარეობა, ხმარება-გამოყენება და სხვა რელევანტური მახასიათებელი. იხ. **Error! Reference source not found.**, სადაც მოცემულია სენსუსის ყველა მიგნება;
- ზემოთ მითითებულ სოფლებში მცხოვრები 234 დპ-ების სოციო-ეკონომიკური გამოკვლევა. სოციო-ეკონომიკური გამოკვლევამ გამოჩინა დპ-ები უმეტესი სოციო-ეკონომიკური თვისებანი, კერძოდ, ეროვნება, განათლების დონე, ცხოვრების წირი და წყობა, შემოსავლის წყაროები, სიღატაკისა/შემოსავლის დონეები, სახლის ტიპი/ღირებულება და მიწათმფლობელობის ტიპები. გამოკვლევამ მოგვცა ბაზისური პირობები: კეთილდღეობისა და სერვისების გამოყენების უნარის თვალთახედვით. მონაცემები გამოყენებული იქნება დპ-ების მონიტორინგისა და შეფასებისათვის შემდგომში, მათი პროექტამდელ პირობებზე დაბრუნებისა და ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესების კონტექსტში; დაბოლოს,
- ბაზისური ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია აჭარისწყალის ჰიდროელექტროპროექტის გზშ-ში (2012 წლის ოქტომბერი).

2.2 მეთოდოლოგია

მონაცემები სოციო-ეკონომიკური მიმოხილვისათვის შეაგროვა კომპანიამ Expert XXI (2012 წლის აპრილიდან 2013 წლის თებერვლამდე. გამოკვლევა ჩატარდა ოთხ ფაზად და შესწავლილ იქნა 234 დპ: ამათგან, 20 იყვნენ კომლისთავი ქალბატონები. სოციო-ეკონომიკური გამოკვლევა ჩატარდა within the ზემოხსენებულ სოფლებში, ანუ:

- ფაზა 1 (აპრილი, 2012): დიდაჭარა, დიაკონიძეები, გელდაძეები, გურთა და იაკობაძეები (შემდგომში წოდებული „დიდაჭარა და მიმდებარე სოფლები“).
- ფაზა 2 (ნოემბერი, 2012): მახალაკიძეების სოფელი.
- ფაზა 3 (ნოემბერი, 2012): სოფლები ახალდაბა და ჩანჩხალო.
- ფაზა 4 (დეკემბერი, 2012 – იანვარი, 2013): კვატია, ფაჩხა და წაბლანა (შემდგომში წოდებული „სხალთა და მიმდებარე სოფლები“).

თბილისის სოციოლოგიური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტმა (სკაი, ISSA) ჩატარა კომპანია Expert XXI სპეციალისტთა თრენინგი მანამდე, სანამ ისინი დაიწყებდნენ მონაცემთა შეგროვებას. ანალიზი ჩატარდა სოციოლოგიური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ, 2012 წლის ზაფხულსა და 2013 წლის მარტში. მაშინ როცა უმთავრესი შედეგები შეჯამებულია მოცემულ

დოკუმენტში, ისინი ქმნის უფრო დეტალურ სოციო-ეკონომიკურ ანგარიშს, რომელიც იქნება გამოყენებული მონიტორინგის მიზნით.

ქვემოთ მოცემული სექციები წარმოადგენს ბაზისურ ინფორმაციას პროექტი გზშ-დან და სოციო-ეკონომიკური გამოკვლევის ძირითად მიგნებებს. მიგნებები სოციო-ეკონომიკური გამოკვლევიდან ავლენს ტენდენციას ფაზებად იყოს წარმოდგენილი.

2.3 დემოგრაფიული პროფილი

პროექტის სამოქმედო არეალი განთავსებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში (საქართველო). შუახევის სქემა ზემოქმედებას ახდენს შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებზე. ბათუმი, მთავარი ქალაქი აჭარისა, განლაგებულია დაახლოებით ორნახევარ საათში (მანქანით) ანუ 80 კილომეტრში ხულოს მუნიციპალიტეტიდან, სადაც კასკადის პირველი სქემა იქნება შექმნილი.

მდებრობითი სქესის რესპონდენტები წარმოადგენს მოსახლეობის ნახევარზე მეტს (51,8%-ს) აჭარის რეგიონში, და მთლიანად აჭარის დასაქმებული მოსახლეობა თითქმის 50%-ს³. მიუხედავად იმისა, რომ დასაქმების მხრივ ზოგადად გენდერულ თანასწორობაა, აჭარაში ქალებს ახასიათებთ ნაკლები მიდგომა რესურსების, კრედიტებისა და ტექნოლოგიების მიმართ, და ნაკლებად შესწევთ უნარი, ისარგებლონ ბიზნესის უპირატესობებით.

2011 წელს ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენდა 36 825-ს. 2002 – 2011 წლებში, ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გაიზარდა თითქმის 10,2%-ით. მოსახლეობის სიმჭიდროვე ხულო მუნიციპალიტეტში შეადგენს 52 მოსახლეს/კვ.კმ.-ზე, რაც ახლოს დგას მოსახლეობის სიმჭიდროვის ეროვნულ მაჩვენებელთან: 66 მოსახლეს/კვ.კმ.-ზე, თუმცა, აჭარის რეგიონში ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ მაღალია. სოფელი დიდაჭარა, რომლის მოსახლეობა 2012 წელს შეადგენდა 1500 მოსახლეს, უდიდეს დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს პროექტის მოქმედების არეალში. დიდაჭარა და იაკობაძეების სოფელი ყველაზე ახლოს არის განლაგებული დიდაჭარას რეზერვუართან.

ხულო მუნიციპალიტეტის დასავლეთით მდებარეობს შუახევის მუნიციპალიტეტი, რომლის მთლიანად 68 სოფლიდან 17 განიხილება პროექტის უშუალო ზემოქმედების ზოლში (შედის პროექტის პირდაპირ ზონაში). ადმინისტრატულ ცენტრს მუნიციპალიტეტისა წარმოადგენს ქალაქი შუახევი. 2010 წელს, მისი მთლიანი მოსახლეობა შეადგენდა 22 800 მაცხოვრებელს, ხოლო მოსახლეობის სიმჭიდროვე იყო 39 მოსახლეს/კვ.კმ.-ზე.

სქემის არეალი, ზოგადად, ეროვნული ჰომოგენურობით გამოირჩევა: 2002 წლის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ხულოსა და შუახევის მოსახლეობა 99%-ზე მეტი ქართველები არიან. აჭარის ბევრი მოსახლე მიეკუთვნება ეთნიკურ ქვეჯგუფს, რომელსაც თავის დროზე იცნობდნენ როგორც „მუსლიმან

³ იმ არეალებში, სადაც მდებრობითი სქესის წარმომადგენელნი შეადგენს დაკავებული მოსახლეობის 50%-ზე მეტს, ძირითადი პროფილებია პედაგოგიკა (მეტადრე, საწყის კლასებში) და სოფლის მეურნეობა.

ქართველებს“. აჭარის სტატისტიკური დეპარტამენტის 2006 წლის შეფასების თანახმად, აჭარის მოსახლეობის 63% ამჟამად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლს წარმოადგენენ, 30% კი - მუსლიმანები არიან. აჭარა 300 წლის მანძილზე ოთომანთა იმპერიის ნაწილი იყო - მე-19 საუკუნის დასაწყისამდე - და ამ პერიოდის განმავლობაში, ბევრმა მოსახლემ იძულებით მიიღო ისლამი.

2.4 ეკონომიკური კონტექსტი


საბჭოთა კავშირისაგან გამოყოფის და დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, 1991 წელს, საქართველოს ეკონომიკა სერიოზული გამოცდის წინაშე დადგა. განსაკუთრებით რთული იყო 1990-იანი წლების პერიოდი. 2003 წელს, ვარდების რევოლუციის შემდგომ, მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდა. მთლიანი შიდა პროდუქტმა სულ მოსახლეზე 2010 წელს შეადგინა 2 623 აშშ დოლარი. 2010 წელს, უმუშევრობის დონე საქართველოში იყო 16,3%. ქალები აჭარის დასაქმებული მოსახლეობის თითქმის 50%-ს შეადგენენ: მათი დასაქმების ძირითადი სფეროებია სწავლა-განათლება, განსაკუთრებით საწყის კლასებში, და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა.

აჭარაში, ეკონომიკა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ხასიათს ატარებს: ესაა ციტრუსები და მარცვლეული კულტურების წარმოება, მენახირობა, ხორცის დამუშავება, ჩაის წარმოება, თამბაქოს წარმოება-დამუშავება, და საკვები სურსათის საწარმოები (თევზისა და ხილის საკონსერვო ფაბრიკები). 2009 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 53,4% სწორედ სასოფლო-სამეურნეო სექტორში იყო დასაქმებული. ამ სექტორის წილი ეროვნულ მშპ-ში მხოლოდ 12,8%-ს შეადგენდა, ხალხის სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების მცირე მასშტაბის გამო.

ხულო მუნიციპალიტეტში მოსახლეობის შემოსავალთა უმთავრეს წყაროს წარმოადგენს კარტოფილის მოყვანა და გაყიდვა, ხოლო შუახევის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა შეადგენს დღე-ს 80%-ს. სათევზაო ფერმები ორივე მუნიციპალიტეტში არის მიჩნეული შემოსავლის წყაროდ. წინასწარი კონსულტაციის დროს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებისას, ბევრმა დაინტერესებულმა პირმა აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი არ არის საკმარისი, შესაბამისად, ხალხი იძულებულია წავიდეს რეგიონიდან ემიგრაციაში, რათა მოძებნოს დროებითი ან პერმანენტული სამუშაო იმისათვის, რომ ოჯახები არჩინოს.

კითხვაზე დასაქმების სტატუსის შესახებ, სიტუაცია შემდეგნაირად განაწილდა: სოციო-ეკონომიკურ გამოკვლევაში მონაწილე გამოკითხულთა 13%-მა თავი „დასაქმებულად“ შეაფასა, 39,75%-მა დაახასიათა საკუთარი თავი როგორც „უმუშევრები“, 10%-19% განაცხადეს, რომ არიან „დიასახლისები“ (ამ მხრივ, ახალდაბისა და ჩანჩხალოს მოსახლეობა გამოწვევის იყო, რადგანაც აქ ქალების მხოლოდ 2%-მა „დიასახლისებად“ მოიხსენია თავი), 15%-23% საკუთარ თავს უწოდეს „პენსიონერები“, 11%-26% - „სტუდენტ-მოსწავლეები“, დაბოლოს, 0%-დან 4%-მდე აღმოჩნდნენ სამხედრო მოსამსახურეები. რესპონდენტთა ერთიდან ხუთ პროცენტამდე არც/ვერც ერთ კატეგორიის შიგნით იპოვა თავისი ადგილი. რაც შეეხება დპ-ებს, რომელთაც დასაქმებულად მიიჩნიეს თავი, 33%-დან 78,3%-მდე საჯარო სექტორშია დაკავებული, ერთ მეოთხედზე ნაკლები - თვით-დასაქმებულია, ხოლო დასაქმებულ რესპონდენტთა 4%-დან 9%-მდე - კერძო სექტორში მუშაობს (იხ. ნახაზი 2.1).

ნახაზი 2.1: დასაქმებულთა განაწილება საქმიანობათა მიხედვით




წყარო: სოციოლოგიური გამოკვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2013.

შემოსავლის ძირითადი წყაროები იცვლება აჭარის სოფლების მიხედვით. მაგალითად, დიდაჭარასა და მიმდებარე სოფლებში, ოჯახური შემოსავლის ძირითადი წყარო შედგება, უმეტესწილად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შემოსავლისაგან, პენსიებისა და სხვა სოციალური დახმარებისაგან. ანალოგიურად, პენსიები და სხვა სოციალური მხარდაჭერა გამოვლინდა როგორც ძირითადი შემოსავლის წყარო ახალდაბასა და ჩანჩხალოში ბინადარი ოჯახების, ასევე, სხალთა და მის მიმდებარე სოფლების მაცხოვრებელი ოჯახების შემთხვევაშიც (50% - 56%). პირიქით, სოფელ მახალაკიძეების მოსახლეთა 57,1% გამოაცხადა, რომ მათი შემოსავლი წყაროს პერმანენტულად-გადახდილი სამუშაო წარმოადგენს.

სულ ცოტა, გამოკვლეული დე-ების ნახევარს, ფაზის დროს ჰქონიათ 100 ლარზე ნაკლები თვიური შემოსავალი სულ მოსახლეზე. დიდაჭარასა და მიმდებარე სოფლებში მიგნებათა გამოწვევით, დე-ების 10%-სა და კიდევ ნაკლებს ჰქონიათ 200 ლარზე მეტი შემოსავალი. ზოგადად, დე-ები მიიჩნევენ, რომ მათი შემოსავალი სულ მოსახლეზე მინიმალურ ხელფასზე უფრო მცირეა, მიუხედავად იმისა, რომ დე-ები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ღირებულებას არ განიხილავენ როგორც შემოსავლის ნაწილს - არადა, კომლი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ნაყოფი წარმოადგენს ოჯახი მთლიანი ბიუჯეტის ფრიად მნიშვნელოვან ნაწილს. ნახაზი 2.2 ნაჩვენებია სქემის ზემოქმედების არეალში მცხოვრები დე-ების სულ მოსახლეზე შემოსავალთა განაწილება.

ნახაზი 2.2: დბ-ების საშუალოდ ყოველთვიური შემოსავალი სულ მოსახლეზე




წყარო: სოციოლოგიური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2013.

რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი იტანჯებიან ფულადი უსახსრობის გამო და/ან რომ ფული მხოლოდ უმთავრესი მიზნებისათვის ჰყოფნით:

- დიდაჭარა და მისი მიმდებარე სოფლების: 67,7%.
- მახალაკიძეების სოფელი: 71,4%.
- ახალდაბისა და ჩანჩხალის სოფლები: 50%.
- სხალთა და მისი მიმდებარე სოფლების: 64%.

ყველა დბ-ები იუწყებიან, რომ უწევთ ფულის დახარჯვა უმეტესწილად (დაახლოებით 50%) საჭმელზე, რასაც მოსდევს ხარჯები განათლებაზე, ჯანდაცვაზე და ჩაცმა-დახურვაზე. იხ. ნახაზი 2.3 დეტალური ინფორმაციით.

ნახაზი 2.3: დანახარჯების საშუალო განაწილება დვების მიხედვით




წყარო: სოციოლოგიური გამოკვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012

დიდაქარასა და მიმდებარე სოფლებში ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოავლინა, რომ ეკონომიკურად აქტიური ქალის თითქმის ნახევრის (47,4%) მონეტარულმა შემოსავალმა შეადგინა 101-105 ლარი. აღმოჩენილ იქნა მხოლოდ ორად-ორი შემთხვევა, როდესაც მდებარეობითი სქესის წარმომადგენელთა შემოსავალმა მიაღწია 450 ლარს ან მეტს (ბიზნეს-წყაროებიდან). საინტერესოა ქალის შემოსავლის წილი მთლიანად კომლი შემოსავლის პროპორციაში. ეკონომიკურად აქტიური ქალის შემოსავლის თითქმის ნახევარი (47,6%) შეადგენს კომლის მთლიანი ბიუჯეტის მეოთხედს. ეკონომიკურად აქტიური ქალის ერთი მეხუთედი (21%) გამოიმუშავებს კომლი შემოსავლის 26-50%-ს, მაშინ როცა ეკონომიკურად აქტიური ქალის 16%-ის შემოსავალი უთანაბრდება მთლიანად ოჯახი ბიუჯეტის 51-75%-ს. გვაქვს სამი შემთხვევა (16%) როდესაც მთლიანად ოჯახი ბიუჯეტს ქალების შემოსავალი ფარავს.

დიდაქარასა და მიმდებარე სოფლებში გამოკვლეული დვებისათვის სამუშაო ემიგრაცია და ფულადი გზავნილებანი მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს: სულ ცოტა, ოთხიდან ერთ გამოკვლეულ დვ-ს (35-დან 9 ოჯახი, ანუ 26%) ჰქონია ემიგრაციის გამოცდილება, გასული სამი წლის მანძილზე. ამ დვების დანიშნულების ადგილი ყველაზე ხშირად თურქეთი ყოფილა, ხოლო რუსეთი და გერმანია კი თითოეულმა ერთხელ დაასახელა. ზოგადად, როგორც გამოკვლევამ გამოავლინა, ემიგრაცია სეზონურსა და დროებით ხასიათს ატარებს.

დბ-ებს სთხოვეს, შეედარებინათ მათი მიმდინარე სოცო-ეკონომიკური პირობები მათივე სამი წლის წინანდელ პირობებს. შედეგები იმის მაჩვენებელია, რომ გამოკვლეულ ოჯახთა ნახევარზე მეტის (79% მახალაკიძეების სოფელში) ეკონომიკური მდგომარეობა არ შეცვლილა გასული სამი წლის განმავლობაში, მაშინ როცა რესპონდენტთა 31% გარკვეულ უკეთესობასაც აღნიშნავს.

ნახაზი 2.4: შეფასება: ოჯახთა ეკონომიკური მდგომარეობა - ამჟამად და 3 წლის წინ



შენიშვნა: ნეგატიური ინდიკატორები აღნიშნავს ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების სიდიდეს, პოზიტიური ინდიკატორები კი - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სიდიდეს. 0 აღნიშნავს უცვლელ ეკონომიკურ მდგომარეობას.
წყარო: სოციოლოგიური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2013.

2.5 მიწის გამოყენება და ბუნებრივ რესურსთა მდგომარეობა

მთიან ხულოს მუნიციპალიტეტში, ალპიური ზონის 16 000 აკრის (6400 ჰა) გამოყენებულია საზაფხულო სამოვრებისათვის. შუახევის მუნიციპალიტეტი მთლიანად 58 000 აკრის (23200 ჰა) 60%-მდე ეკუთვნის კატეგორიას „ტყე“, ხოლო 28% კატეგორიზებულია როგორც სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწა. პირქუში ჰავის გამო, ხულოს მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ძირითადად დაიყვანება მენახიერებაზე, კარტოფილისა და თამბაქოს მოყვანაზე, ხილ-ბოსტნეულის კულტივაციასა

და მეფუტკრეობაზე. ტიპიური ოჯახს მთიან აჭარა ჰყავს ოთხი ან ხუთი ძროხა, შესაძლოა, ბატკანი და ციკანიც.

მთიანი რეგიონის ჭარბი მოსახლეობა ნიშნავს, რომ მიწა ცოტაა. ადგილობრივი მოხელეების თანახმად (ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებიდან), მათ ოჯახებს როგორც წესი გააჩნიათ 0,25-0,75 ჰა მიწა. გარდა ამისა, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში ხშირია სტიქიურ უბედურებათა რისკიც - მეწყერი და ეროზია - რომელიც უკავშირდება ანთროპოგენურ საქმიანობას (როგორცამიწისჭარბი დამუშავება, წყლის არხთა მაღალი სიხშირე და ტყის ამოკვეთა). მეწყერი და ეროზია, თავის მხრივ, იწვევს სასოფლო-სამეურნეო მიწისა და საძოვრების დაკარგვას.

პროექტის შესახებ კონსულტაციების დროს, სოფ. დიდაჭარას მაცხოვრებლები გამოთქვეს გულისწუხილი პოტენციური მეწყერსაშიშროებისა და დაგეგმილ საპროექტო ადგილმდებარეობათა შორის კავშირის გამო. 1982 წელს დიდაჭარაში მოხდა საშინელი მეწყერი, რომელმაც დაფარა გზა და გამოიწვია სოფლის დროებითი იზოლაცია. მეწყერის საკითხი ასევე წამოიწია გზმ-სთან დაკავშირებულ წინასწარი კონსულტაციების დროს გამართულ შეხვედრებზე შეხვედრები (შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანასა და ზამეთის თემებში), და ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები მიერ, როგორც ადგილობრივი თემებისა და დაინტერესებულ მხარეთა ზრუნვის საკითხები.

სტიქიურ უბედურებათა (ხანგრძლივი წვიმებით გამოწვეული დატბორვის / წყალდიდობის, თოვლწყაპის / მოლიპული გზების, მეწყერის) ეფექტები შესაძლებელია. აჭარის რეგიონში რეგისტრირებულია 4135 ოჯახი, რომელნიც დაზარალდნენ სტიქიური უბედურებებისაგან, და გამოავლენილი არიან პოტენციური გადასახლებისათვის. ამ მოსახლეთაგან, 187 ოჯახი მიეკუთვნება ისეთ კატეგორიას, რომელთა სახლები მთლიანად არის დანგრეული, ან კიდევ აღარ არის დასახლებული და აღდგენასაც არ ექვემდებარება⁴.

სოციო-ეკონომიკურმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ დბ-ების მიწის ნაკვეთთა ზომები მერყეობს 320 მ²-დან 13 400 მ²-მდე. დაზარალებული მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს საძოვრებს (ისინი განიმარტება როგორც მიწა, რომელზედაც იკვებება საქონელი და, შესაბამისად, მას განეკუთვნება ტყეები და ყოველგვარი საბალახო). რიგი დბ-ები მისდევნენ მათი ნაკვეთების ირიგაციასა და კულტივაციას. დბ-ებს 16%-ს (ანუ, 369-დან 59) გააჩნია სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთები. იმ დბ-ებმა, რომელნიც არ ახდენენ მთლიანად მათი მიწის ნაკვეთთა კულტივაციას, შემდეგი სამი მიზეზი მოიყვანეს ამის: (i) დიდი მანძილი მათ მიწის ნაკვეთებამდე, (ii) ფინანსთა უკმარისობა ვითარმცა ბარიერი, და (iii) მათი მიწის ნაკვეთები ერთობ მცირეა იმისათვის, რომ დამუშავებულ იქნას.

გამოკვლეული დბ-ების უმეტესობამ განაცხადა, რომ მათი მიწა წარმოადგენს მნიშვნელოვან საარსებო წყაროს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მიწის ნაკვეთი არ ვარგა სახნავ-სათესად. დიდაჭარასა და მიმდებარე სოფლებში, დბ-ები მხოლოდ ერთი მეხუთედი საერთოდ არ ყიდის საკუთარ მოსავალს, ხოლო 17% - მხოლოდ მოსავლის ნახევარზე ნაკლებს ყიდის, 23% - ნახევარს, დაბოლოს 40% ყიდის ნახევარზე მეტს მათი ჭირნახულისა. ის დბ-ები, რომელნიც ყიდიან თავისი მოსავლის მხოლოდ ნახევარს, უმეტესწილად ყიდიან მას გადამამიღველებს (თრეიდერებს), ეს უკანასკნელნი კი შემდგომ

⁴ აჭარის მთავრობა., „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური განვითარების სტრატეგია“, ინტერნეტ-ვერსია იხ. <http://www.ajara.gov.ge/acg/files/Adjara-Development-Strategy.pdf>

ბაზარზე გაიტანენ პროდუქციას. პირდაპირი გაყიდვა ფერმერებისაგან, ან დბ-ების გამოყენება ბაზარზე გამყიდველების როლში, ნაკლებად შემჩნეულ პრაქტიკას წარმოადგენს.

2.6 ჯანდაცვა

საქართველოში, სასუნთქ ორგანოთა დაავადებები ჯანმრთელობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს ბავშვებს შორის. 60 წელს გადაცილებულ ასაკობრივ ჯგუფში, ყველაზე უფრო გავრცელებულია კარდიო-ვასკულარული და ენდოკრინული დაავადებები (მაგ. დიაბეტი ან ფარისებრი ჯირკვლის დაავადება), ისევე როგორც კანის, ხორხისა და ფილტვის კიბო. HIV-ის ეპიდემიის რისკი საქართველოში UNAIDS-ის მიერ განიხილება როგორც „მაღალი“, მიუხედავად იმისა, რომ დაბალია დაზარალებულ პირთა გავრცელება: იგი მხოლოდ 0,1%-ს შეადგენს. მოცემული რეიტინგი დაკავშირებულია მოსახლეობის მოძრაობასთან საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის, სადაც პრევალენცია (გავრცელება) საკმაოდ მაღალია, როგორცაა უკრაინა და რუსეთი, და აგრეთვე ინიექციური ნარკომანიის მაღალ დონესთან საქართველოში. აჭარა წარმოადგენს HIV/AIDS-ით ერთ-ერთ ყველაზე უფრო დაზარალებულ რეგიონს საქართველოში: ბათუმში დაარსებულია სპიდის (AIDS) ეროვნული ცენტრი.

აჭარაში ამჟამად მიმდინარეობს საავადმყოფოების რეორგანიზაციის პროგრამა, რომლის მიხედვითაც შენდება ან უკვე დასრულებულია რვა საავადმყოფო. ერთ-ერთ ასეთ ამასწინათ დასრულებულ საავადმყოფოს, რომელიც 2011 წელს გაიხსნა შუახევში, 20 საწოლი პალატა და 75 ადგილი გააჩნია. ეს ახალი საავადმყოფო მომსახურების ფართო სპექტრს ასრულებს, დაწყებული სტომატოლოგიით დამთავრებული ქირურგიული ოპერაციებითა და ტრავმატოლოგიური მკურნალობით. ქ. ხულოსაც გააჩნია თავისი ჯანდაცვის ცენტრი (40 მწოლიარე ადგილით). ამასთან, ხულოს მუნიციპალიტეტს აქვს რვა ამბულატორიული სამკურნალო და სამედიცინო დახმარების სადგურები 77 სოფლიდან 41-ში. აქ, მაცხოვრებელთ მოემსახურებიან 27 ექიმი და 24 დამხმარე სამედიცინო პერსონალის წარმომადგენელი.

2006 წელს ხულოში მომხდარი სასტიკი წყალდიდობის საპასუხოდ, მუნიციპალიტეტმა დასახა წყლის მართვისა და სანიტარული დახმარების გაუმჯობესების პროგრამა. ამ პროგრამის თანახმად, 7500 მაცხოვრებელს უნდა მიეწოდოს საკმარისი რაოდენობით სასმელი წყალი, ხოლო წყალმომარაგებასთან დაკავშირებული კომლექსი რიცხვი უნდა გაორმაგდეს. ხულოს მუნიციპალიტეტში დიდად გაუმჯობესებულია ასევე კანალიზაციის მდგომარეობა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა იმ დაავადებათა რიცხვი, რომელნიც წყლის საშუალებით ვრცელდება. 2005 წელს, 156 პრობლემადან 150 იქნა მოგვარებული და მხოლოდ ექვსი პრობლემა ჯერაც რჩებოდა (კანალიზაციის გამოსწორების შემდეგ). ხულოში აღარ არის დიდი ნაგავსაყრელები: ნაგვის წაღება ხდება კვირაში სამჯერ ბათუმში განლაგებულ სამარხზე.

გამოკვლევის დროს, დბ-ებს ჰკითხეს, ჰსურს თუ არა კომლის რომელიმე წევრს ექიმთან ვიზიტი (ჯანდაცვის ცენტრი, კლინიკა ან საავადმყოფო). პასუხი - ბოლო 12 თვის განმავლობაში - უაროფითი იყო. რესპონდენტთა 40%-დან 69,7%-მდე დაადასტურა, რომ ასეთი იყო ვითარება მთელს მათ ოჯახში: უმთავრეს მიზეზად კი გამოავლინდა საავადმყოფოში ვიზიტისა / მკურნალობის ერთობ მაღალი ფასი.

2.7 განათლება და უნარ-ჩვევები

2009/2010 სასწავლო წლებში, აჭარაში არსებობდა 259 სახელმწიფო სკოლა, ანუ მეტი, ვიდრე ეს იყო 2007/2008 სასწავლო წლებში, მაგრამ ნაკლები, ვიდრე 2005/2006 სასწავლო წლებში. 2005 და 2010 წლებს შორის, დაიკლო ასევე კერძოდ დაფინანსებული საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვმაც. ზოგადად, შესაბამის პერიოდში გაიზარდა სტუდენტთა რიცხვი, რაც, როგორც ჩანს, შედეგი იყო ან ადგილების ნაკლებობისა, ან კიდევ იმისა, რომ კლასები „გადაჭედული“ იყო (თუკი ასეთი ტენდენცია გაგრძელდა).

ტაბულა 2.1 ნაჩვენებია, რომ პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე განათლების დონეები განსხვავდება - ზოგ შემთხვევაში კი, მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს სხვა რაიონებში გავრცელებული განათლების დონეებისაგან (მაგ. სხალთასა და მიმდებარე სოფლებში, და აგრეთვე მახალაკიძეების სოფელში).

ტაბულა 2.1: დბ-ების განათლების დონეები

	განათლებელი	საწყისი განათლება	სკოლის დაუსრულებელი	სკოლის განათლება	პროფესიული განათლება	დაუსრულებელი უმაღლესი განათლება	უმაღლესი განათლება
საქართველო	0,6	13,4		36,9	19,1	3,7	26,1
დიდაჭარა და მიმდებარე სოფლების	1,5	2,2	6,6	58,8	8,1	2,2	20,6
მახალაკიძეების სოფელი	7,3	14,5	17,4	44,9	5,8	4,3	5,8
ახალდაბა და ჩანჩხალო	<i>მონაცემები არ მოგვეპოვება</i>	6,8	9,1	56,6	<i>მონაცემები არ მოგვეპოვება</i>	6,8	15,9
სხალთა და მიმდებარე სოფლების	<i>მონაცემები არ მოგვეპოვება</i>	0,9	26,7	61,2	<i>მონაცემები არ მოგვეპოვება</i>	3,2	4,7

წყარო: სოციოლოგიური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2013.

დიდაჭარასა და მის მიმდებარე სოფლებში ჩატარებულმა სოციო-ეკონომიკური კვლევამ დბ-ებს შორის გამოავლინა 12 სკოლამდელი ასაკის ბავშვი, რომელნიც არ დასწრებიან სკოლამდელი განათლების პროგრამებს შესაბამის დაწესებულებებში, ვინაიდან მათ (არსებულ) დასახლებებში ასეთი საშუალება არ ყოფილა. მთლიანად დიდაჭარასა და მიმდებარე სოფლებში გამოკვლეული დბ-ების სკოლის ასაკის ბავშვთა რიცხვი ყოფილა 35, და ყველა მათგანი დადის სკოლაში.

როდესაც მათ სთხოვეს, შეეფასებინათ საკუთარი განათლების ხარისხი, რესპონდენტთა 94,5%-მა განაცხადა, რომ ისინი ან „საკმაოდ“ ან „ზოგადად“ კმაყოფილნი არიან მეორადი განათლების ხარისხით, ხოლო დარჩენილმა 5,6 გამოთქვა „სრული უკმაყოფილება“.

უნარ-ჩვევების რუკების შედგენა პროექტისათვის დაიწყო 2011 წლის ოქტომბერში. ადგილობრივ მაცხოვრებელნი, რომელნიც დაინტერესებულნი არიან დასაქმების მოპოვებაში პროექტის ხაზით, სტიმულირებულ იყვნენ, რეგისტრაციაში გაეტარებინათ მათი დაინტერესება და მიმდინარე უნარ-ჩვევების დონე. 2011 წლის ოქტომბერსა და 2012 წლის თებერვალს შორის, 1636 მაცხოვრებელი რეგისტრირებულ იქნა ხულოს მუნიციპალიტეტში. დეტალები იხილეთ ტაბულა 2.2.

ტაბულა 2.2: მაცხოვრებელთა უნარ-ჩვევების დონეები ხულოს მუნიციპალიტეტში, რომელნიც არიან დაინტერესებული სამსახურის მიღებაში პროექტის ხაზით

მუნიციპალიტეტი	მეორადი განათლება			უმაღლესი განათლება			მთლიანად
	სამშენებლო	მხარდამჭერი მომსახურება	უსწავლელი	სამშენებლო	მხარდამჭერი მომსახურება	სხვა	
ხულო	693	348	308	56	68	163	1,636


წყარო: გამმა კონსალტინგ

მათ, ვისი სამშენებლო უნარ-ჩვევები მეორადი განათლების (სასკოლო ან პროფტექნიკური) კატეგორიას ეკუთვნის, მიეკუთვნება: შემდუღებლები, დურგლები და აგურის / ქვის წყობის ოსტატები. ის კი, ვისაც უნარ-ჩვევების გარდა უმაღლესი განათლებაც გააჩნია, საინჟინრო საქმის სპეციალისტებს განეკუთვნებიან. იმათი, ვისაც აქვს დახასიათება „დამხმარე სერვისთა“ უნარ-ჩვევები, განეკუთვნებიან: მზარეულები, მძღოლები, ჯანდაცვის მუშაკები (მეორადი განათლების კატეგორიაში). არიან სპეციალისტებიც, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება სამშენებლო პროფილით. არსებობს ძალიან ბევრი არაკვალიფიციური მუშაკი (ე.წ. „შავი მუშა“). არის ე.წ. „სხვა“-ც: ამათ განეკუთვნებიან ის ადამიანები, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება, მაგრამ არა-დაკავშირებულ სფეროში. ზოგადად, იმ მაცხოვრებელთა რიცხვი, რომელთაც უკვე გააჩნიათ უნარ-ჩვევები და შეუძლიათ ამ უკანასკნელთა გამოყენება პროექტში, შეადგენს დაახლოებით 60%-ს ხალხისა, ვინც რეგისტრირებული როგორც დაინტერესებული.

2.8 საცხოვრებელი პირობები

სოციო-ეკონომიკურმა გამოკვლევამ გამოავლინა, რომ ყველა დე ცხოვრობს კერძო სახლებში, რომელთა ფართობების მერყეობს ფარგლებში 50მ²-ზე ნაკლები - 150 მ²-ზე მეტი. ნახაზი 2.5 ნაჩვენებია დე-ების სახლთა ფართობები.

ნახაზი 2.5: დვ-ების სახლთა ფართობები



წყარო: სოციოლოგიური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012

კითხვაზე მათი ოჯახის კეთილმოწყობის შესახებ, დვ-ების 99%, რომ სარგებლობენ ელექტრობით. სრული უმრავლესობა ასევე მიუთითებს, რომ აქვთ ცენტრალური გათბობა. ყველაზე სერიოზულ საკითხებად გამოვლინდა ცხელი წყლის უქონლობა და უვარგისი/არარსებული კანალიზაცია. საერთო ჯამში, მონაწილეთა დაახლოებით 75%-მა განაცხადა, რომ მათი ცხოვრების პირობები დამაკმაყოფილებელია, ხოლო რესპონდენტთა 14% (არაზუსტი ციფრია) ფიქრობს, რომ „მათი ცხოვრების პირობები კარგია“, და კიდევ 14% - რომ „ცხოვრების პირობები არ ვარგა“.

2.9 სიდატაკე, დაკარგვა და მოწყვლადი ჯგუფები

2000 – 2007 წლებში, საქართველოს მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი (30,4%) ცხოვრობდა სიდატაკის ხაზის ქვეშ: ორი დოლარი დღეში, საქართველოს მოსახლეთა 13,4% კი - უკიდურესი სიდატაკის პირობებში ცხოვრობდა: დღეში 1,25 ამერიკული დოლარის ექვივალენტი: ასეთი იყო სიდატაკის ხაზი 2000 – 2007 წლებში. ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოების თანახმად, რაც უფრო

ვრცელია პროექტის მოქმედების არეალი, მით უფრო მცირეა საშუალოდ შემოსავალი ოჯახზე - მცირეა, რათა დაფაროს ყველა კომლის მოთხოვნა და საჭიროება.

მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნება ისინი, რომელთაც ნაკლები ძალა შესწევთ სქემით გამოწვეულ ნეგატიურ ზემოქმედებთან შეგუებისა. ესენია:

- პენსიონერები – არსებობს ხუთი ტიპი პენსია, რომელთაც სახელმწიფო სხვადასხვა საფუძველზე უხდის შემდეგ ხალხს: ასაკი, შეუძლოდ-ყოფნა, საბჭოთა ეპოქის პოლიტიკური რეპრესიების მსხერპლნი, ქალი - თავი ოჯახისა, რომელმაც მთავარი „პურის მშოვნელი“ დაკარგა, დაბოლოს, მსახურობის წლებიც საფუძველია.
- ომის ვეტერანები – “ადამისნის უფლებათა ცენტრის” თანახმად, აჭარაში ომის ვეტერანები აღარ იღებენ არავითარ დახმარებას, ვინაიდან ფული ომის ვეტერანთათვის არ განიხილება რეგიონალური მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ბიუჯეტში;
- ღატაკი ოჯახები, რომელთა შემოსავალიც საარსებო მინიმუმზე უფრო დაბალია.
- სტიქიური უბედურებებით დაზარალებული მოქალაქეები, ან მაცხოვრებელნი იმ რეგიონებისა, რომელნიც სტიქიურ უბედურებათა სარისკო ჯგუფში შედის.

აჭარაში, მოსახლეობის 16,2% იღებს სახელმწიფო პენსიას. ამ, მთლიანი, რიცხვიდან 11,7% იღებს დახმარებას ასაკის გამო, და 3,6%-ს სახელმწიფო ეხმარება მათი უუნარობის/სნეულების გამო. დპ-ების გამოკვლევამ დაადასტურა პენსიებისა და სახელმწიფო შეწევნის დიდი მნიშვნელობა. იხ. მე-2.3 სექცია, სადაც დეტალურაა მოცემული.

სტიქიურ უბედურებათა და ხელმისაწვდომი მიწის უკმარისობა. მაცხოვრებელნი, განსაკუთრებით, ხანში შესული, ავადმყოფი და უუნარო პირები, წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფს: მათ უჭირთ, გადაიტანონ ძლიერი თოვლის ბარდნა, დატბორვა / წყალდიდობა, მოლიპული გზები / თოვლჭყაპი, და იზოლაცია, რომლის მიზეზი შეიძლება გახდეს ძლიერი წვიმა, თოვლი ან მეწყერი. მეწყერი ზიანს აყენებს საკუთრებას (მათ შორის, მიწასაც), სხვადასხვა ნივთიერ ქონებას, ავნებს ადამიანის ჯანმრთელობას - უარეს შემთხვევაში, სიცოცხლესაც კი (იწვევს მის დაკარგვას).

ის, რომ ადამიანი უარს ამბობს მიწის კულტივაციაზე, ახსნილი შეიძლება იყოს სხვადასხვა მიზეზებით: სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთის დაშორებულობა, ფულის ნაკლებობა / არქონა, და მიწის ნაკვეთის მცირე ზომებიც კი. ზოგადად, კომლები მისდევენ ნატურალურ სოფლის მეურნეობას, რამდენადაც მათ არ გააჩნიათ მოსავლის გასაყიდად საკმარისი მიწა. ხშირად მიწა, რომელიც თითოეული კომლის საკუთრებაშია, არ არის საკმარისი მასზე დამოკიდებული ოჯახის გამოსაკვებად. მეტიც, უმუშევარნიც მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფს ეკუთვნიან: მათ ხომ არ გააჩნიათ შემოსავლის საიმედო და რეგულარული წყარო. განსაკუთრებით მოწყვლადია კომლები, რომელთა თავიც ქალია და არა მამაკაცი: სოფლის რაიონებში ქალებს ფრიად მძიმე შრომა უწევთ (და პრესინგი კიდევ უფრო იზრდება, თუკი მამაკაცი სხვაგან არის წასული სამუშაოდ). ღატაკ ოჯახებს არ შეუძლიათ საკუთარ მომავალში ფულის ჩადება: ვერ იყიდიან ნივთიერ ქონებას, როგორცაა, ვთქვათ, სატრანსპორტო საშუალება ან საფერმო დანადგარი, რაც ზრდის / აუმჯობესებს წარმადობასა და პროდუქციის ხარისხს.

სოციო-ეკონომიკური გამოკვლევა გაარჩია სიღატაკისა და ეკონომიკური მოწყვლადობის ინდიკატორები. შემოსავლის საქმეში ჩადების თვალსაზრისით, გამოკვლევის რესპონდენტთა 50%-დან 71%-მდე განაცხადეს, რომ ფულის მხრივ ძალიან შეზღუდულნი არიან და/ან ფული მხოლოდ პირველად საჭიროებათ ყოფნის. სქემა-ანალიზი შემდეგი იყო:

- 67,7% - დიდაჭარასა და მიმდებარე სოფლებში;

- 71,4% - მახალაკიძეების სოფელში;
- 50% - ახალდაბაში და ჩანჩხალოში; დაბოლოს,
- 64% - სხალთასა და მიმდებარე სოფლებში.

PAP დანაკარგთა განმსაზღვრელმა სენსუსმა გამოავლინა, რომ ყველა დპ-დან შვიდმა დაკარგა თავისი კუთვნილი მიწის ნახევარზე (50%-ზე) მეტი⁵. მოცემული დანაკარგი აღიქმება და განიხილება როგორც მძიმე ზარალი, ვინაიდან მიწის რესურსის არ-ქონა ოჯახს უფრო მოწყვლადს ხდის: ასეა იმ თემებში, სადაც მიწა სერიოზულ საარსებო საშუალებას წარმოადგენს.

⁵ დპ-ების სახელთა ხსენების გარეშე, იკარგება მიწის შემდეგი ნაკვეთები (=50% ან >50%): 57,73% and 66,67% - ახალდაბაში; 50% და 82,82% - წაბლანაში; და 52,93%, 56,21% და 60,72% - დიდაჭარაში.

3. მიწის ნაკვეთების შეძენის და გადასახლების პოტენციური ზემოქმედება

3.1 ზოგადი მიმოხილვა

მოცემული სექცია გვთავაზობს სქემის ოპერაციებთან დაკავშირებული გადაადგილების შეფასებულ სიდიდის შეჯამებას. იგი გამოავლენს ზემოქმედებს, რომელნიც ეფუძნება მიწის, შენობა-ნაგებობათა, მოსავლის, ხეებისა და შემოსავლის დანაკარგებს. ინფორმაცია ეფუძნება მონაცემებს, რომელნიც შეგროვებულია სენსუსისა და დეტალური გაზომვა-გამოკვლევას დროს სქემის ზემოქმედების არეალში (სადაც დპ-ები გამოავლინა შაჯ მიწის ნაკვეთების შეძენისა და გადასახლების (მშპ) გუნდმა).

3.2 ნებაყოფლობითი თუ არანებაყოფლობითი მიწის ნაკვეთების შეძენა და გადასახლება

IFC, EBRD და ADB-ის კურსები არ გამოიყენება ისეთ გადასახლების მიმართ, რომელიც შედეგია მიწის ნებაყოფლობითი გარიგებისა, რომლის დროსაც გამყიდველი არ არის ვალდებული, გაყიდოს, ხოლო მყიდველი ვერ მიმართავს ექსპროპრიაციას. ასეთი სიტუაცია გვექნებოდა ზოგიერთი სქემის შემთხვევაში, მაგალითად, დროებითი სამშენებლო სასაწყობო ზონების, სამშენებლო ბანაკები და ნაგავსაყრელი საიტების მოთხოვნების დროს. მიწის ნაკვეთების ამგვარი შეძენა იქნებოდა სამართლიანი მოლაპარაკების პრინციპების საფუძველზე, და ამ შემთხვევებში გარიგება დააკმაყოფილებს ორივე მხარეს. ყველა შემთხვევაში, მიწის ნაკვეთების ნებაყოფლობითი შეძენა იქნება დოკუმენტირებული.

გადასახლება განიხილება არანებაყოფლობითი ქმედება, როდესაც დაზარალებული ინდივიდებსა ან თემებს არა აქვთ უფლება უარი თქვან მიწის ნაკვეთის შეძენაზე, რაც შედეგად გამოიღებს გადაადგილებას. თუმცა ყველა ღონე უნდა ვიხმართ, რათა თავიდან ავიცილოთ არანებაყოფლობითი გადასახლება, პროექტს უფლება აქვს ექსპროპრიაციაზე ან მიწის გამოყენების სამართლებრივ შეზღუდვების ამუშავებაზე, თუკი მოლაპარაკება/ნი ჩაიშალა / ვერ შედგა. ქვემოთ მოცემული შეფასებანი დაკავშირებულია არანებაყოფლობით გადასახლებასთან, თუმცა ყველა ზომა იყო მიღებული იმისათვის, რომ მიწა შესყიდულ იქნას წარმატებული მოლაპარაკების გზით.

3.3 შეფასებული მიწის ნაკვეთების შეძენა

მიწის ნაკვეთების პერმანენტული სარგებლობით შეძენა - შუახვევის სქემაში - ზეგავლენას მოახდენს კერძო მიწათმფლობელზე (როგორც რეგისტრირებულზე, ასევე არა-რეგისტრირებულზე) და იმ მიწაზე, რომლის მესაკუთრე ან მმართველი არის სახელმწიფო. ტაბულა 3.1 მოყვანილია ზოგადი მიმოხილვა.

ტაბულა 3.1: ზოგადი მიმოხილვა: სასარგებლო მიწის პერმანენტული დაკარგვა მესაკუთრე დებებისა და მესაკუთრე სახელმწიფოს მიერ

ტაბულის მარცხენა სვეტი	დებების რაოდენობა	მიწის ნაკვეთთა რაოდენობა	მიწის რეგისტრაციის სტატუსი დაზარალებული დების რიცხვის მიხედვით	მთლიანად დაზარალებული სასარგებლო ⁶ მიწა (მ ²)
კერძო მიწის დანაკარგი	369	392	1 – უცნობია 330 – არ არის რეგისტრირებული 9 – ყველა მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია 29 – ზოგიერთი მიწის ნაკვეთი არის რეგისტრირებული, ზოგი - არა.	355 277
სახელმწიფო - მესაკუთრე ან მმართველი	არ არის	30	<i>მონაცემები არ მოგვეპოვება</i>	350 000
მთლიანად	369	422	369	705 277

წყარო: შაჟ LAR-ის გუნდი, 2013 წლის მაისი და სექტემბერი

შაჟ პირდაპირ მთავრობისაგან შეისყიდის მიწას, რომელსაც სახელმწიფო ფლობს ან მართავს. მიწის ნაკვეთები, რომელნიც ადგილობრივი ფერმერების ხმარებაშია, მაგრამ რომელთაც არ გააჩნიათ ოფიციალური ნებართვა ამ მიწაზე, რეგისტრირებული იქნება სახელმწიფოს სახელით. კომპანია შეისყიდის ამ მიწას სახელმწიფოსგან, თუმცაღა ფერმერები მიიღებენ კომპენსაციას ისე, როგორც ეს არის განმარტებული სექციაში 6.3 ქვემოთ.

შაჟ დაავალა მიწის რეგისტრაცია დებებისათვის, რომელთაც გააჩნიათ საჭირო საარქივო დოკუმენტები. 2013 წლის მაისში, 43 დბ-მ სარგებელი ნახა იმის გამო, რომ შაჟ მიწა მათ სახელზე დაარეგისტრირა (39 - დიდაჭარაში და 4 - მახალაკიძეებში). 2011 წელს, მიწა, რომელის თავიდან განიხილებოდა როგორც „სათემო“, კიდევ ერთხელ იქნა შესწავლილი, და, ადგილობრივი ორგანოების კოორდინაციით, „შეიძინა“ შეთანხმებული კერძო მესაკუთრე. შაჟ იმუშავა ამ დბ-ებთან, რათა მიწა გადასცეს პროექტის სასარგებლოდ.

ქვემოთ მოცემული ტაბულა 3.2 გვთავაზობს დაზარალებული სოფლის შეძენილი სასარგებლო მიწის დეტალურ თანხას (პუნქტებად).

⁶ „სასარგებლო მიწა“ განიმარტება როგორც სახნავად ვარგისი მიწა.

ტაბულა 3.2: მიწის ნაკვეთების შეძენა: ზემოქმედების შეჯამება

სოფელი	სასარგებლო მიწის მთლიანი ფართობი რომელიც ეკუთვნის დპ-ებს (მ ²)	დპ-ების მიერ დაკარგული სასარგებლო მიწის მთლიანი ფართობი (მ ²)	დპ-ების მიერ სასარგებლო მიწის დანაკარგი: პროპორცია	სერიოზულად დაზარალებული (კარგავენ >50% მიწის) კომპლექსის საერთო რაოდენობა
მახალაკიძეების	86 975	14 175	16,3%	0
ფაჩხა	50 183	13 236	26,4%	0
ჩანჩხალო	25 560	2 997	11,7%	0
ახალდაბა	28,884	8,584	29,7%	2
კვატია	10,400	4,700	45,2%	0
წაბლანა	23,200	12,880	55,5%	2
დიდაჭარა	130,075	33,483	25,7%	3
მთლიანად	355,277	90,055	25,3%	7⁷

წყარო: შპჯ

50%-ზე მეტის დაკარგვა განიხილება როგორც მძიმე ზემოქმედება, ვინაიდან მიწას მოკლებულობა ზრდის დპ-ის მოწყვლადობას. იმ შემთხვევაში, როდესაც მიწის დარჩენილი ნაკვეთები კარგავს თავის პროდუქტიულობას (დაზარალებული მიწის დაკარგვის ხარჯზე), დამატებითი ნაკვეთებისათვის ასევე გადაიხდება კომპენსაცია. ტაბულა 3.2 გამოავლენს, რომ შვიდი დპ-ი გადაიტანს მძიმე ზემოქმედებს და მათ დასჭირდება საარსებო საშუალებათა აღდგენა.

ზოგიერთი მიწის შეძენა დროებით მოხდება სალიზინგო ხელშეკრულების ძალით. ეს გარიგებანი მოხდება წარმატებულ მოლაპარაკებათა საფუძველზე, და კომპანია იტოვებს უფლებას, შეცვალოს ადგილმდებარეობა, თუკი კერძო მიწათმფლობელი ან მიწათმოსარგებლე არ არის თანახმა. მიწის ნაკვეთების ასეთი დროებითი შეძენა ჩატარდება მხოლოდ მაშინ, თუკი სახეზეა ნებაყოფლობითი ხელშეკრულება. მოსალოდნელია, რომ სქემისათვის აუცილებელი ტერიტორიის დაახლოებით 20 000 მ² -ზე გაფორმდება ნებაყოფლობითი რენტის ხელშეკრულებები.

ტერიტორიაზე არსებობს მხოლოდ ერთი კომერციული სტრუქტურა - გასამართი სადგური (ბეტონის სათავსო ორი ტანკერით), რომელიც პერმანენტულად იქნება დაზარალებული სქემის ზემოქმედების არეალში. ბიზნესი კანონიერად არის რეგისტრირებული მესაკუთრის მიმართ, თანაც ამ ბიზნესში სამი ადამიანია დასაქმებული. დპ დაგვეთანხმა შემოთავაზებულ კომპენსაციაზე. დროებით არც ერთი ნაგებობა არ დაზარალდება. ტაბულა 3.3 შეჯამებულია სქემის ზემოქმედება შენობებსა და ნაგებობებზე.

⁷ 57,73% და 66,67% ახალდაბაში; 50% და 82,82% წაბლანაში; ასევე, 52,93%, 56,21% და 60,72% დიდაჭარაში.

ტაბულა 3.3: დაზარალებული შენობები და სტრუქტურები

შენობა-ნაგებობის ტიპი	შენობათა რიცხვი	დბ-ების რიცხვი და ტიპი	მთლიანად დაზარალებული მიწა (მ²)
კომერციული – გასამართი სადგური	1	1 - კანონიერი მესაკუთრე 3 - თანამშრომლები	200
მთლიანად	1	4	200

წყარო: შაჯ LAR-ის გუნდის, ოქტომბერი 2012

შაჯ მშგ-გუნდის შემოთავაზება იყო, შეგვეძინა გასამართი სადგური მესაკუთრისაგან, გვეყიდა მიწის ახალი ნაკვეთი და განგვეახლებინა ბიზნესი. ამის მაგივრად, მესაკუთრემ აირჩია კომპენსაცია ნაღდი ფულით, რომელიც იქნებოდა ექვივალენტი ბიზნესის ღირებულების ჩანაცვლებისა.

3.4 მოსავლის შეფასებული დანაკარგები

არ არის ნავარაუდევო, რომ მოსავლის ნებისმიერი დანაკარგზე იქნება გადახდილი კომპენსაცია პროექტის სასარგებლოდ. დბ-ები ხელს აწერენ საოფციო კონტრაქტებს, რომელთა ვადაც იჭურება 2013 წლის 31 დეკემბერს ან ექვს თვეში (რაც მეტია), რომელნიც დასჭირდება შაჯ-ს რათა დაასრულოს მიწის შეძენა. საოფციო კონტრაქტით მოითხოვს, რომ მიწაზე აღარ განხორციელდეს რაიმე ახალი საქმიანობა. 2013 წლის მაისში, 322 დბ-მ ხელი მოაწერა საოფციო კონტრაქტს, სამი კონტრაქტი ჯერ კიდევ რჩება (კვლავან მოითხოვს დადასტურებას) კვატიაში, ხოლო წაბლანაში ჯერაც არ დავიზიერებულა არც ერთი საოფციო კონტრაქტი. პროექტის პირველივე საოფციო კონტრაქტს ხელი მოეწერა 2012 წლის ივლისში, ყველაზე ახალს (თუ ბოლოს) - 2013 წლის აპრილში.

3.5 ხეების შეფასებული დანაკარგი

პროექტი მოითხოვს რამდენიმე ნაკვეთის შეძენას პერმანენტული სარგებლობისათვის, ამ მიწის ნაკვეთებზე კი ხეები იზრდება. ტაბულა 3.4 შეჯამებული სახით გვაძლევს პროექტის გამო ხეების დანაკარგს (რომლის კომპენსაციაც უნდა მოხდეს). მთლიანობაში, დაზარალებულა 100 ინდივიდუალური დბ-ი და ზოგიერთი მათგანი - დაკარგავს რამოდენიმე ჯიშს.

ტაბულა 3.4: ხეების დანაკარგები⁸

ხის ტიპი	ხეების რაოდენობა	დბ-ების რაოდენობა
ვაშლის ხე	56	18

⁸ მოცემულ ტაბულაში არ არის წარმოდგენილი ტიპი და ოდენობა იმ ხეებისა, რომლებიც წაბლანაშია განლაგებული: აქ ყველა კომლი მიიღებს მთლიანი წვლილის პროპორციულ კომპენსაციას.

ხის ტიპი	ხეების რაოდენობა	დპ-ების რაოდენობა
ბალის / ალუბლის ხე	36	16
თუთის ხე	6	6
თხილი/კაკლის ხე	96	14
მსხლის ხე	29	15
ქლიავის ხე	49	14
ველური ქლიავის ხე	29	15
ვენახი, ვაზი	18	7
კაკლის ხე	327	80
კომშის ხე	9	4
ატმის ხე	2	1
ლედვის ხე	9	3
ხურმის ხე	5	3
ფორთოხლის ხე,	1	1
თაფლის წარმოება	1	3
ფეიხა	1	1
ველური ქლიავის ხე	3	1
მთლიანად	677	202

წყარო: შაჯ LAR-ის გუნდი, 2013 წლის მაისი

3.6 შემოსავალის შეფასებული დანაკარგები

პროექტი მოახდენს ზემოქმედებას გასამართ სადგურზე (ანუ, დააზარალებს ბიზნეს მესაკუთრესა და სამ თანამშრომელს).

3.7 შეფასებული მოწყვლადი დპ-ები

მშსა განსაზღვრავს შაჯ-ის პოლიტიკას, რომლის თანახმადაც მოპყრობა ყველა დპ-თან მოხდება თანაბარ ყაიდაზე. გვახსოვს და ვაღიარებთ რა, რომ მრავალი კომლი ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს სილატაკის ხაზის ქვეშ, და არის დამოკიდებული სახელმწიფო პენსიებსა თუ დახმარებაზე, შაჯ გადაუხდის თითოეულ დპ-ს დახმარებას, რომელიც იქნება ექვივალენტი შეძენილი მიწის საბაზრო ფასის 10%-სა.

3.8 დკ-ები და დბ-ები: შეჯამება

დკ/დბ სენსუსმა გამოავლინა 369 დბ, რომელთაგანაც 368-მა უპასუხა სენსუსს. მოცემული 368 დბ-ი მოიცავს 1929 დბ-ს (988 კაცი და 941 ქალი). იხ. ტაბულა 3.5 (სადაც ხარჯები პუნქტებად არის დაყოფილი).

ტაბულა 3.5: დბ-ებისა და დკ-ების ზოგადი მიმოხილვა

სოფელი	დბ-ების მთლიანი რაოდენობა	საერთო რაოდენობა: მამაკაცები	საერთო რაოდენობა: ქალები	დბ-ების საერთო რაოდენობა	საერთო რაოდენობა: სერიოზულად დაზარალებული კომპლექსები (ვარგავენ მიწის >50%-ს)
მახალაკიძეების	38	77	83	160	
ფაჩხა	18	54	49	103	
ჩანჩხალო	16	28	27	55	
ახალდაბა	13	33	30	63	2
კვატია	68	187	181	368	
წაბლანა	105	317	297	614	2
დიდაჭარა	111	292	274	566	3
მთლიანად	369	988	941	1929	7

წყარო: შაჯ LAR-ის გუნდის, 2013 წლის სექტემბერი

როდესაც 1 929 დბ დაემატა იმ 23 დბ-ის, რომელნიც გამოვლინებულ იქნა ბიზნესის შემოსავლისა და დასაქმებაში დანაკარგთა შედეგად, დბ-ების მთლიანი რიცხვის შეფასებამ მოგვცა დაახლოებით 1 952 დბ. როგორც ზემოთ აღინიშნა, მშს-ს პოლიტიკის საფუძველზე, ყველა დბ, შესაბამისად, დბ-ები განიხილება როგორც მოწყვლადი ჯგუფი.

ტაბულა 3.6 გვთავაზობს ასეთ შეჯამებას: პროექტის ზემოქმედება დბ-ებსა და დკ-ებზე.

ტაბულა 3.6: პროექტის ზემოქმედება დბ-ებსა და დკ-ებზე - შეჯამება

დანაკარგის კატეგორია	დბ-ების რიცხვი	დკ-ების რიცხვი	შენიშვნა
კერძო მიწა	364	2137	დბ-ების შეფასების საფუძველია: საშუალოდ, 5,87 დბ დკ-ზე
ბიზნესის შემოსავალი და დასაქმებულთა ხელფასები	4	23	
ხეები	202	1186	ეს დკ-ები და დბ-ები შეადგენენ მიწაზე გამოვლენილთა ნაწილს (აღებულია, საშუალოდ, 5.87 დბ 1 დკ-ზე)
კომერციული სტრუქტურა	1	6	ეს დკ არის ერთ-ერთი 4 დბ-გან რომელნიც განსაზღვრულია

290038/TRD/EFR/მშს/31 2013 წლის მაისი

C:\დოკუმენტები და Settings\rot62082\My დოკუმენტების\პროექტის\საქართველოს\ქარაშხა\ხევისგანახლების მშს ოქტომბერი, 2013 წლის\მშს\შუახვევის მშს Rev C FINAL 30 08 13 - new ტაბულა\მშს.doc

დანაკარგის კატეგორია	დბ-ების რიცხვი	დკ-ების რიცხვი	შენიშვნა
			როგორც ბიზნეს-დანაკარგნი (გასამართი სადგური)
სახელმწიფო მიწა – სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	<i>მონაცემები არ მოგვეპოვება</i>	<i>მონაცემები არ მოგვეპოვება</i>	
მთლიანად (ორმაგი თვლის გარეშე)	369	~2166	დბ-ების შეფასების საფუძველია: საშუალოდ, 5,87 დბ დკ-ზე

წყარო: შაჯ LAR-ის გუნდის, 2013 წლის სექტემბერი

4. სამართლებრივი ჩარჩოების მიმოხილვა

4.1 ზოგადი მიმოხილვა

მოცემული სექცია გვთავაზობს შეჯამებას როგორც საქართველოს რელევანტური სამართლებრივი ჩარჩო-დოკუმენტების, ასევე საერთაშორისო სტანდარტებისა, რომელნიც გამოიყენება მიწის ნაკვეთების შეძენის და გადასახლების პროცესების მიმართ. მშსა ყურადღებას აქცევს მეტ დეტალს: ესაა დეტალური გეგ-ანალიზი (რა ხარვეზები აქვს მიწის ნაკვეთების შეძენასა და გადასახლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობასა საერთაშორისო სტანდარტების შუქზე).

4.2 საქართველოს ნორმები და კანონები მიწის ნაკვეთების შეძენისა და გადასახლების შესახებ

საქართველოში მიწის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩო-დოკუმენტი საკმაოდ ფართო, ვრცელსა და რთულ ხასიათს ატარებს. საზოგადოებრივი საჭიროების გარკვეულ შემთხვევებში, სახელმწიფოს უფლება აქვს, აიღოს კერძო მიწები სახელმწიფო საკუთრებაში ან ზომები მიიღოს, კერძო მიწაზე სხვაგვარი ზემოქმედების მოსახდენად. კანონები, რომელთა მიხედვით ხდება ამ პროცესის მართვა წარმოდგენილია ტაბულა 4.1.

ტაბულა 4.1: საქართველოს რელევანტური კანონები

წელი	საქართველოს რელევანტური კანონები
1995	საქართველოს კონსტიტუცია
1997	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
1997	სამოქალაქო პროცესუალური კოდექსი
1997	კანონი ჩანაცვლების მიწის სარეკლამაციო თანხის გადახდისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის არა-სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებული ზარალის შესახებ (შესწორებულია 2007 წელს)
2007	საქართველოს კანონი ქონებაზე საკუთრების უფლებათა აღიარების შესახებ ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ მიწის ნაკვეთთა ფლობის (გამოყენების) შემთხვევაში
1999	კანონი საკუთრების აუცილებელი საზოგადოებრივი მიზნით ექსპროპრიაციის პროცედურების შესახებ
1997	კანონი საკუთრების უფლების განსაკუთრებული საზოგადოებრივი მიზნებისათვის საექსპროპრიაციო წესის შესახებ

წელი	საქართველოს რელევანტური კანონები
1996	კანონი სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების უფლებათა შესახებ
2005	კანონი სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის შესახებ
2005	კანონი უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებათა რეგისტრაციის შესახებ
2007	კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ
2008	კანონი საჯარო რეესტრის შესახებ
2009	საქართველოს კანონი ნოტარიალური საქმიანობის შესახებ

ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში, საქართველოში მოხდა საკუთრების უფლებებთან და ექსპროპრიაციასთან დაკავშირებული რიგი კანონების განახლება. ამჟამინდელი კანონმდებლობის ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ კომპენსაცია ფიზიკური მატერიალური ქონებისათვის გადახდილი უნდა იქნას, მიმდინარე საბაზრო ფასების საფუძველზე (ცვეთის / გაუფასურების გარეშე). კანონი ასევე ითვალისწინებს კომპენსაციას შემოსავლის დანაკარგისათვის (როგორცაა მოსავლის დაკარგვა ან ბიზნესის დახურვა): ამით უნდა დაიფაროს სუფთა დანაკარგი. ამასთან ერთად, განახლებულ კანონმდებლობაში მკაცრად არის ხაზგასმული დპ-ებისათვის კონსულტაციის გაწევა და წინასწარი გაფრთხილება ისეთნაირად, რომ მათ შეეძლოთ პროცესში მონაწილეობის მიღება.

შაჯ-ს ჰქონდა კონსულტაციები ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო იურიდიულ დეპარტამენტთან. ამ უკანასკნელმა შეატყობინა შაჯ-ს, რომ სამინისტროს უფლება აქვს კანონიერად მიიღოს მონაწილეობა მოლაპარაკებულ ხელშეკრულებებში დპ-ებთან იმისათვის, რათა შეიძინოს უფლებები მიწაზე ზემოთ მოყვანილი კანონების ჩარჩო-დოკუმენტით. კანონები და სარეალიზაციო რეგულაციები სთავაზობს შაჯ-ს შემდეგ სამართლებრივ შესაძლებლობას მიწაზე უფლებათა შესაძენად:

- საკუთრების უფლებათა შეძენა ნებაყოფლობითი და წარმატებული მოლაპარაკებისა და საბაზრო ფასის გადახდის საფუძველზე - ცვეთა / გაუფასურების გარეშე და აგრეთვე ნებისმიერ პროექტისა ან სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე;
- მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ - და მას მერე, რაც - მოლაპარაკება შედეგს ვერ გამოიღებს (ჩაიშლება), ხდება შესაძლებელი მიწაზე ან სხვა აუცილებელ ნივთიერ ქონებაზე პერმანენტულ უფლებათა შეძენა, ექსპროპრიაციის გზით. ექსპროპრიაციის სჭირდება საპრეზიდენტო განკარგულება, რომელსაც უნდა მოჰყვეს სასამართლო - ამ უკანასკნელმა უნდა განსაზღვროს საზოგადოებრივი საჭიროების პრეცედენტი.

4.3 IFC, EBRD და ADB: მიწის ნაკვეთების შეძენა, არანებაყოფლობითი გადასახლება და ეკონომიკურ კავშირთა გაწყვეტისაგან დაცვა

სფკ-ის (IFC) მიერ მიწის ნაკვეთების შეძენა და საარსებო საშუალებათა აღდგენასთან დაკავშირებული მოთხოვნები წარმოდგენილია სფკ-ს შესრულების სტანდარტში #5 (IFC Performance Standard 5) – მიწის ნაკვეთების შეძენა და არანებაყოფლობითი გადასახლება (სფკ PS5). რეგ-ის (EBRD) პრინციპები

ასახულია დოკუმენტში “მიწის ნაკვეთების შეძენა, არანებაყოფლობითი გადასახლება, და ეკონომიკურ კავშირთა გაწყვეტა”, შესრულების მოთხოვნა #5 (რგებ PR5), დაბოლოს, ADB ანალოგიური მიდგომა წარმოდგენილია საგარანტიო მოთხოვნა #2-ში – არანებაყოფლობითი გადასახლება (ADB SR2).

გადასახლება განიხილება როგორც არანებაყოფლობითი როდესაც დაზარალებულ ინდივიდებს ან თემებს არა აქვთ უფლება უარი თქვან მიწის ნაკვეთების შეძენაზე, რისი შედეგიც ხდება მათი გადასახლება. მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირად თავიდან უნდა იქნას აცილებული მიწის ნაკვეთთა არანებაყოფლობითი შეძენა, პროექტს უფლება აქვს, გამოიყენოს მიწის გამოყენებასთან დაკავშირებით ექსპროპრიაციის ან სამართლებრივი შეზღუდვის უფლება - იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებანი ჩიხში შევიდა. შესაბამისად, ზემოხსენებული დოკუმენტებს - IFC PS5, EBRD PR5 და ADB SR2 - უზენაესი უფლება მიენიჭება და მათი მოთხოვნები ლენდინგთან დაკავშირებით უნდა იქნას შესრულებული.

მნიშვნელოვანია კრედიტორების მიმართ გატარებული პოლიტიკის ზიგიერთი შემდეგი ასპექტი:

- ყველა ღონე უნდა იქნას გამოყენებული, რათა გადასახლება თავიდან ავიცილოთ და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სადაც და როდესაც კი ეს არის შესაძლებელი, განსაკუთრებით, ფიზიკური გადაადგილების შემთხვევაში. როდესაც გადასახლების თავიდან აცილება ვერ მოხდება, პოტენციური ნეგატიური ზემოქმედები შემარბილებელი ზომებია საჭირო;
- უმთავრეს მიზანს წარმოადგენს გადაადგილებულ (ფიზიკურად ან ეკონომიკურად) პირთა საარსებო საშუალებათა და საცხოვრებელი სტანდარტები გაუმჯობესება, ან, სულ ცოტა, პროექტამდელ დონემდე აღდგენა. პროექტები პასუხს აგებს გადაადგილებულ პირთა ცხოვრების პირობები გაუმჯობესებაზე, უზრუნველყოფს რა ადექვატურ საცხოვრებელ პირობებსა და გარანტირებული საკუთრების უფლებას;
- გადაადგილებული პირები შეიძლება წარმოადგენდეს მესაკუთრეებს ან არა-მესაკუთრეებსაც, და იმათაც, ვისაც გააჩნია მიწა, ოღონდ იურიდიული (ფორმალური), ტრადიციული, ან სავალდებულო ხმარების უფლებების გარეშე;
- გადასახლების ოპერაციებს აუცილებლად თან უნდა ახლდეს შესაბამისი ინფორმაციის გახმაურება / გამოქვეყნება, კონსულტაციების გაწევა, და დპ-ების მხრიდან ინფორმირებული მონაწილეობა; დაბოლოს,
- განსაკუთრებული გამაფრთხილებელი ზომები / გარიგებები უნდა გაკეთდეს იმ ინდივიდთა მიმართ, რომელნიც მოწყვლადი ჯგუფებს ეკუთვნის.

ლენდინგის სამივე კურსი მოითხოვს ფიზიკური გადაადგილების გეგმას (მოცემულ დოკუმენტში იგი მოხსენიებულია როგორც RAP) ან ეკონომიკურ კავშირთა გაწყვეტა (მოცემულ დოკუმენტში იგი მოხსენიებულია როგორც მშსა), რათა წარმოდგენილ იქნას დპ-ებთან ერთად ჩატარებული სავალდებულო გამოკვლევების მონაცემები.

5. რესურსთა შეფასების მეთოდები

5.1 ზოგადი მიმოხილვა

მოცემულ განაკვეთში აღწერილია ის მეთოდები, რომელნიც გამოიყენება საკომპენსაციო ნიხრების განსაზღვრისათვის, და აგრეთვე, ის სავსე სამუშაოები, რომელთაც უნდა დააზუსტონ დაზარალებული კომპლექსის საარსებო წყაროები.

5.2 ჩანაცვლების ღირებულება როგორც საფუძველი კომპენსაციისათვის

პროექტმა მიიღო გადაწყვეტილება, განახორციელოს დანაკარგთა კომპენსაცია ნაღდი ფულით, და არა ნატურალური კომპენსაციის სახით. ამის მიზეზია, ერთი მხრივ, თვითონ დაზარალებული კომპლექსის სურვილი, და, მეორე მხრივ, პროექტის მოქმედების არეალში შესაფერისი ალტერნატიული მიწის ნაკვეთთა არ-ქონა. თითქმის ყველა პოტენციური სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთი უკვე ხმარებაშია. დარჩენილი მიწა უმეტესწილად გამოუსადეგარი საარსებო საშუალებათა მიწებისათვის (გამონაკლისს მხოლოდ ზოგიერთი საძოვარი შეადგენს). მიწის ნაკვეთის შესყიდვა სხვა ოჯახებისაგან განიხილება როგორც სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთზე შეღწევის უფლების გადაცემა ერთი ოჯახისაგან შემდეგი ოჯახისათვის. თითქმის ყველა შემთხვევაში, მიწის დანაკარგი ნაწილობრივ ხასიათს ატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ დბ-ები მათი მთლიანი მიწის რესურსის მხოლოდ ნაწილს კარგავენ, ზოგჯერ 10%-ზე ნაკლებს. დბ-ების შეფასებული 16% კარგავს სახნავ-სათესი მიწას. დაზარალებული მიწის უმეტესი ნაწილი კლდოვან-ხრეშიანია და/ან ტყით არის დაფარული, ასე რომ მისი მესაკუთრეები მას აქტიურად როდი იყენებენ. შვიდი დბ-ი კარგავენ მათი სახნავ-სათესი მიწის ექვივალენტს ან 50%-ზე მეტს (ამათგან, ორი დბ-ი - ახალდაბას მაცხოვრებელია, ორი დბ-ი - წაბლანასი და კიდეც სამი დბ-ი დიდაჭარაში ცხოვრობს). საშუალოდ, ეს დბ-ები კარგავენ 60%-ს მათი მიწისა, მაგრამ ერთი დბ-ი - ის, რომელიც წაბლანაში ცხოვრობს - იძლებულია, დაკარგოს საკუთარი მისის 82,52%-მდე. სახნავ-სათესი მიწის დანაკარგის ასეთი დონე განიხილება როგორც მძიმე ზარალი და საჭიროებს დახმარებას საარსებო საშუალებათა აღდგენაში, ისევე როგორც კომპენსაციას.

IFC, EBRD და ADB მოითხოვს ჩანაცვლების ღირებულებას, რომელიც უნდა იყოს ნაღდი ფულით გადახდილი კომპენსაციის საფუძველი; ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ დანაკარგთა მიტიგაცია / შერბილება ნატურალური კომპენსაცია (ე.ი. მიწა მიწისათვის) შეუძლებელია. ჩანაცვლების ღირებულება განიმარტება როგორც მატერიალური ქონების საბაზრო ფასი, პლუს გარიგების ხარჯები. შენობა-ნაგებობებისა და მატერიალური ქონების ცვეთა / გაუფასურება არ იქნება გათვალისწინებული. დბ-ებმა არა აქვთ უფლება, გამოიყენონ თავისი საკუთარი ფინანსური რესურსები მსგავსი ღირებულების მატერიალური ქონების ჩასანაცვლებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩანაცვლების ღირებულებაში შედის გადაცემის რელევანტური გადასახადები, სარეგისტრაციო თანხები და ნებისმიერი სხვა ხარჯი, რომელიც გაწეული შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის შესაძენად. მშსა დეტალურად აღწერს შეფასების ორ გზას, რომელნიც იყო გამოყენებული საბაზრო ღირებულების დასადგენად: ერთი - მთავრობის, მეორე კი - ადგილობრივ დამოუკიდებელი უძრავი ქონების ოპერაციებში აგენტის საშუალებით. პროექტი მოწოდებულია, მოლაპარაკებათა საფუძველად გამოიყენოს მიწაზე ორი გამოკვლევიდან ყველაზე მაღალი საფასური.

5.3 კომპენსაციის მაჩვენებელთა განსაზღვრა

მშსა აღწერს გზას, თუ როგორ გატარდა მატერიალური ქონების შეფასება. სხვადასხვა მატერიალური ქონების შეფასების მეთოდოლოგია ქვემოთ არის მოყვანილი, შეჯამებული სახით:

- მიწა: ჩატარდა ორი საწყისი საბაზრო შეფასების გამოკვლევა. გამოყენებულია ყველაზე მაღალი შეფასება როგორც ჩანაცვლების ღირებულება და საფუძველი იმ თანხისა, რომელსაც შესთავაზებენ თითოეულ დპ-ს, რომელმაც დაკარგა მიწა.
- სახლები და შენობები: შაჯ დაიქირავეს უძრავი ქონების ოპერაციების დამოუკიდებელ აგენტს, რომელიც დაადგენს საბაზრო ფასეულობას. ჩანაცვლების ღირებულება გამოვლინდება საბაზრო შეფასების გათვალისწინებით, ისევე როგორც მასალების, შენობის ტიპის, შრომის, ტრანსპორტირებისა და სხვა სამშენებლო ხარჯები. არც ცვეთა / გაუფასურება, და არც გადარჩენილი მასალებისა და მოლაპარაკების ხარჯები არ იქნება გამოკლებული.
- მოსავლები: კულტურები იქნება შეფასებული საბითუმო საბაზრო ნიხრებით, პირველი წლის მოსავლის მიხედვით. საბოლოო ჯამში, რამდენადაც დპ-ის სასარგებლოდ გადახდილ უნდა იქნას რამდენიმე წლის კომპენსაცია, მოსავლები პირველი წლის შემდეგ გადახდილი იქნება სუფთა საბაზრო ფასის მიხედვით. შაჯ დაიქირავეს დამოუკიდებელსა და ნეიტრალურ მესამე მხარის ექსპერტს სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასეულობის დასადგენად, რათა მან გამოავლინოს საბაზრო ნიხრები და ფასეულობა.
- ხეები: ხეები შეფასდება ხის ტიპის, მისი ასაკის და მსხმოიარების საფუძველზე. შაჯ დაიქირავეს დამოუკიდებელ აგენტს უძრავი ქონების ოპერაციებში იმის დასადგენად, ბოტანიკოსებთან ერთად, თუ როგორია ტიპური კულტურები ამ არეალში, და იმასაც, თუ როგორია კულტურის ფასი. მშსა გვთავაზობს შეჯამებას: ჩანაცვლების ფასეულობის კალკულაცია და ერთჯერადი კომპენსაცია ხეხილისა და თხილი/კაკლის ხეებისათვის. იხ. ტაბულა 6.1 სადაც მოცემულია საკომპენსაციო მიდგომა დაზარალებული ხეების ტიპების საფუძველზე.

5.4 რესურსებზე მონაცემთა შეგროვება ფასეულობის განსაზღვრის მიზნით

დაზარალებულთა რესურსების თითოეული სქემა ხასიათდება და განიზომება შაჯ მშგ-გუნდის მიერ ისეთნაირად, რომ ფასეულობის განსაზღვრა ზემოთ მოყვანილი ტიპოლოგიის საფუძველზე იყოს შესაძლებელი. 2011 წლიდან მოყოლებული, განხორციელდა შაჯ-ის პერსონალის კონტაქტი კომლის თავებთან პოტენციურად დაზარალებული საკუთრების მატერიალური ქონების შეფასებისა და დპ-ების სოციო-ეკონომიკური პირობების დადგენის თაობაზე:

- კომლის სენსუსმა უნდა გამოავლინოს დპ-ების მთლიანი რიცხვი და მახასიათებელნი. მოცემული სენსუსი ჩატარდა 2012 წლის ივნისში და 2013 წლის მარტში, ამით გამოვლინდა დპ-ების 100% (მთლიანად 369 პირი). სენსუსის დროს, ჩატარდა დეტალური გამოკვლევა დპ-ების მთელი პოტენციურად დაზარალებული მატერიალური ქონების ფასეულობის დასადგენად. დეტალური გამოკვლევის შედეგად აღირიცხა რესურსთა ტიპი, და აგრეთვე მისი ასაკი, ზომა, პროდუქტიულობა / მსხმოიარება, ხარისხი ან მდგომარეობა, ხმარება / გამოყენება და სხვა რელევანტური მახასიათებელნი. გადაღებულ იქნა მატერიალური ქონების ფოტოსურათებიც.
- სენსუსისა და დეტალური გამოკვლევის პარალელურად (იმავედროულად), ჩატარდა დპ-ების 25%-ის სოციო-ეკონომიკური გამოკვლევა. სოციო-ეკონომიკურმა გამოკვლევამ აღმოაჩინა დაზარალებული მოსახლეობის მრავალი სოციო-ეკონომიკური თვისება (რომელნიც ითვლის, მაგრამ არ იზღუდება შემდეგით: ეროვნება, განათლების დონე, ცხოვრების წირი და საარსებო საშუალებანი, შემოსავლის

წყაროები და დონეები, სახლის ტიპი და კეთილმოწყობ, მიწაზე საკუთრების ტიპები). შეიქმნა ბაზისური პირობები, კმაყოფისა და სერვისებით სარგებლობის მხრივ.

რიგ შემთხვევაში, ვერ მოხერხდა ყველა მონაცემის შეგროვებულია და მოეწყო განმეორებითი ვიზიტები - 2012 წლის ოქტომბრამდე. სექცია # 2-ში მოცემული ინფორმაცია პირველადი წყარო იყო სწორედ სოციო-ეკონომიკური გამოკვლევა, მაშინ როცა სექცია # 3-ის ინფორმაციის პირველადი წყარო სენსუსი გახდა. შაჯ-მ გამოიყენა სავსე მონაცემები კომპენსაციის გამოსათვლელად, თითოეული დანაკარგის საფუძველზე (მშსა-ს ნებართვის მატრიცა).

6. მიწის ნაკვეთების შეძენისა და კომპენსაციის პროცესი

6.1 ზოგადი მიმოხილვა

მშსა განსაზღვრავს ინსტიტუციონალურ ჩარჩოებსა და უმთავრეს პროცესებს მიწის ნაკვეთების შეძენისა და დპ-ების კომპენსაციისათვის, მშგ-ის მხრიდან ზემოქმედებისათვის. მოცემულ სექციაში შეჯამებულია მშგ-ზემოქმედების მართვისათვის ინსტიტუციონალური ჩარჩოები, შერჩევა და ნებართვების მატრიცა.

6.2 ინსტიტუციონალური ჩარჩოები

იმისათვის, რომ გეგმა განხორციელდეს, საჭიროა მრავალი როლის მოთამაშის მოწვევა - მთავრობიდან, სამოქალაქო საზოგადოებიდან და კერძო სექტორიდან. მშსა აღწერს - ტექსტისა და სურათების დახმარებით - ურთიერთობებს სხვადასხვა როლებს შორის.

შაჯ-ს, როგორც პროექტის წამოყენების ავტორს, კისრულობს მთლიან პასუხისმგებლობას სქემაზე, ყველა მშგ-ამოცანის მომზადების, განხორციელებისა და დაფინანსების ჩათვლით. ამ სქემისათვის შაჯ ჩამოყალიბებული ჰყავს LAR-გუნდი: სწორედ ეს გუნდი წარმართავს მშგ-ამოცანებს, იგი განახორციელებს მშსა-ს და აწარმოებს მის დოკუმენტაციას. LAR-გუნდი მონაწილეობას იღებს სავსელ სამუშაოებში, უწევს კონსულტაციას და კოორდინაციას დპ-ებს, გადასახლებულ მონაწილეებს, კონტრაქტორ მომსახურე პერსონალს, და აგრეთვე პარტნიორებს. უმთავრეს ამოცანებს შეადგენს: სავსელ გამოკვლევათა ჩატარება, კომპილაცია და მოლაპარაკების წარმოება საკომპენსაციო პაკეტზე, და აგრეთვე, დახმარების გაწევა დპ-ების მიმართ საჩივრით საკომპენსაციო მექანიზმის მოძიებაში.

მოცემული სქემისათვის, შაჯ მშგ-მ გამოიყენა Expert XXI, კომპანია ბათუმიდან დაახლოებით 20 თანამშრომელი, რათა ამ უკანასკნელს ჩაეტარებინა შეფასებანი. სერვის-პროვაიდერთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოფს ფინანსური დაგეგმარებას, ხელი მოეწერება კონტრაქტს: ეს კონტრაქტორი შეუქმნის დპ-ებს შეგნებულ მიდგომას დანაზოგებისა და ფინანსური მენეჯმენტის მიმართ. გადასახლების შემფასებლის როლი ასეთია: მან უნდა დაუდასტუროს კრედიტორებს, რომ მიწის ნაკვეთთა შეძენა და გადასახლება დასრულდა მშსა-ს თანახმად, რომ ისინი პასუხობს მშსა-ს მიზნებს და რომ არანებაყოფლობითი გადასახლებისას კრედიტორების უფლებები გარანტირებულად არის დაცული (უსაფრთხოების კურსი).

კრედიტორებს სჭირდებათ მოცემული მშსა-ს დამტკიცება იმისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი უსაფრთხოების კურსი (მათი უფლებათა დაცვა გარანტირებულად შესრულდება). როგორც შემადგენელი ნაწილი ფინანსური ხელშეკრულებისა, კრედიტორები ასევე „გაუხსნიან გზას“ სამშენებლო სამუშაოების დაწყებას, მოცემული მშსა-ს მოქმედებაში მოყვანის შემდგომ.

6.3 AP-ისა და სათემო კომპენსაციისათვის უფლების მინიჭება (შერჩევა)

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ რეგისტრირებულ მიწის მესაკუთრეებს ენიჭებათ უფლება, აიღონ კომპენსაცია მიწაზე. IFC-ის, EBRD-ისა და ADB-ის სტანდარტების თანახმად, მესაკუთრეები და მოსარგებლეები რეგისტრაციის გარეშე ასევე პასუხობენ კომპენსაციის მოთხოვნებს იმათთან ერთად, ვისაც რეგისტრაცია გააჩნია. მიწისა და საკუთრების მესაკუთრეებსა და მოსარგებლეებს, მათ, ვისაც აქვს რეგისტრირებული და მათაც, ვისაც რეგისტრაცია არ გააჩნია, შაჯ მიანიჭა უფლება, რომ მათი, ორივეს, საქმეები თანაბრად იქნას განხილული. იმის გათვალისწინებით, რომ მესაკუთრეს ან მოსარგებლეს, მეზობლის და ადგილობრივი მოხელის მტკიცების / ჩვენების საფუძველზე შეუძლია, დაადასტუროს, რომ რესურსი მათია და, შესაბამისად, AGL განახორციელებს ასეთი მესაკუთრეების და მოსარგებლეების სრულ კომპენსაციას. AGL შეიძენს მატერიალურ ქონებას, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, და - რამდენადაც შესაძლებელია - არ ავნებს არც ერთ კომლს, მათ გარდა. იმ შემთხვევაში თუ ეს შეუძლებელია, მოსარგებლეები მიიღებენ კომპენსაციას, მათი სარეგისტრაციო სტატუსის მიუხედავად.

რომ შევაჯამოთ, სქემის მიერ შერჩეულ დპ-ებს განეკუთვნება შემდეგი პირები:

- ის დპ-ები, რომელთაც გააჩნიათ ქონების ფლობაზე რეგისტრირებული უფლება, ან ისინი, ვისაც აქვს ჩვეულებაზე დამყარებული ბეჭედდართყუმი სიგელები, ან ტრადიციული უფლებები მიწაზე, რომელთა დამოწმება შეუძლია ადგილობრივ ადმინისტრაციას;
- მოიჯარეები და მოსავლის მეწილეები, სულ ერთია, აქვთ თუ არა რეგისტრაცია;
- შენობების, მოსავლის, მცენარეების, ან სხვა მიწასთან დაკავშირებულ ობიექტთა რეგისტრირებული და არა-რეგისტრირებული მესაკუთრეები; და
- დპ-ები, რომელნიც კარგავენ ბიზნესს, შემოსავალსა და ხელფასს, პროექტის მიერ მიწისა და მატერიალური საკუთრების შესყიდვის გამო.

სქემის მიერ დაზარალებული სათემო მომსახურება და ინფრასტრუქტურა ასევე პასუხობს კომპენსაციის მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, საველე გამოკვლევებმა ვერ მოახერხა გამოველინა რომელიმე სათემო მომსახურება ან კიდევ ინფრასტრუქტურა, რომელნიც შეიძლება დაზარალებულიყო ამ სქემის ზემოქმედების გამო.

6.4 შერჩევის შეწყვეტა

მატერიალური ქონების ფლობის დროულმა რეჟიმს შეუძლია ავნოს შერჩევა / უფლების მინიჭებას. მოცემული სქემის შეწყვეტის თარიღები შეეფარდება დპ-ების ხელმოწერებთან მათ საოფციო კონტრაქტებში. საოფციო კონტრაქტი უფლებას აძლევს დპ-ებს, კვლავაც დაამუშაონ მათი ნაკვეთები, მაგრამ მასში ხაზგასმულია შემდეგი გარემოება: ნებისმიერი დანაკარგები, გარდა იმ დანაკარგებისა, რომლებიც კონტრაქტშია მითითებული, არ იქნება კომპენსირებული, თუკი მათი შეძენა მოხდა საოფციო კონტრაქტი ხელშეკრულება პერიოდში. როგორც მიუთითებს სექცია 3.4 (2013 წლის მაისი), 322 დპ-მ ხელი მოწერეს საოფციო კონტრაქტებს. თუმცა სამი კონტრაქტი (კვატიაში) ჯერაც არ არის ხელისმოწერით ვიზირებული, ხოლო სოფ. წაბლანაში არც ერთ საოფციო კონტრაქტს არ მოეწერა ხელი. პროექტის პირველ საოფციო კონტრაქტს ხელი მოეწერა 2012 წლის ივლისში, ყველაზე ახალს კი - 2013 წლის აპრილში.

6.5 საკომპენსაციო ანაზღაურებანი

მოცემული მშსა-ს პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ დაზარალებული საარსებო საშუალებანი აღდგენილ იქნება პროექტამდელ სტანდარტებამდე, და, თუკი ეს შესაძლოა, გაუმჯობესებულიც. ნებართვა გაიცემა დანაკარგის ტიპისა და, ზოგ შემთხვევაში, დპ-ს მახასიათებლების საფუძველზე. დპ ან დკ შეიძლება განიცდიდეს სხვადასხვა დანაკარგს და სხვადასხვა კომპენსაციაც ეკუთვნოდეს. საკუთრების ან იჯარის უფლებათა დამამტკიცებელი დოკუმენტაცია, ისევე როგორც საკომპენსაციო გარიგებათა ამსახველი საბუთები გაცემული იქნება ორივე მეუღლის სახელზე ან ოჯახის / კომლის თავის სახელზე.

შაჯ განახორციელებს კომპენსაციისა და საარსებო საშუალებათა აღდგენის ზომებს მშსა-ს ნებართვის მატრიცის საფუძველზე. ტაბულა 6.1 შეჯამებულია ნებართვები, რომელნიც უნდა გაიცეს დპ-ების სასარგებლოდ:

ტაბულა 6.1: შუახვევის სქემისათვის რელევანტური საკომპენსაციო უფლების მინიჭება: შეჯამება

ნებართვები	ერთეული	თანხა	შენიშვნები
კერძო მიწა	მ ²	4,6 აშშ დოლარი	4,6 აშშ დოლარი მ ² -ზე: ასეთია სტანდარტული ფასი, რომელიც გამოიყენება ჩანაცვლების ღირებულებაზე მოლაპარაკების დროს. იმის მიხედვით, სახნავ-სათესია მიწა თუ საძოვარი, გასწორებული თუ დაქანებული, ახლოსაა გზასთან თუ არა, მოლაპარაკებაზე დპ-ებს შესთავაზებენ თანხას, ამოსული სტანდარტული ფასიდან = 4,6 აშშ დოლარი მ ² -ზე.
კაკლის, კომშისა და თუთის ხეები	საშუალო წლიური მოსავალი x 1 კგ-ზე საბაზრო ფასი x 8	სხვადასხვა	კოეფიციენტი '8' ითვალისწინებს ხეების ჩანაცვლების ღირებულებას, რაც ასახავს გადახდის ერთჯერად ხასიათს - იმის მაგივრად, რომ მრავალწლიანი მოსავლის ნაღდი ფასი იქნას გადახდილი. კოეფიციენტები განისაზღვრა ერთობლივად ადგილობრივ შემფასებელ სპეციალისტთან, კომპანიასთან Expert XXI.
სხვა ხეხილი	საშუალო წლიური მოსავალი x 1 კგ-ს საბაზრო ფასი x 5	სხვადასხვა	კოეფიციენტი '5' ითვალისწინებს ხეების ჩანაცვლების ღირებულებას, რაც ასახავს გადახდის ერთჯერად ხასიათს - იმის მაგივრად, რომ მრავალწლიანი მოსავლის ნაღდი ფასი იქნას გადახდილი. კოეფიციენტები განისაზღვრა ერთობლივად ადგილობრივ შემფასებელ სპეციალისტთან, კომპანიასთან Expert XXI.
კომერციული სტრუქტურა	მ ²	სხვადასხვა	ჩანაცვლების ღირებულების დამოუკიდებელი შეფასების საფუძველზე
ბიზნესის შემოსავალი და დასაქმების ხელფასები	ლარი/თვეში	200	მაქსიმუმ ექვს თვემდე ხელფასები და პრიორიტეტული დასწრება უნარ-ჩვევების თრენინგებზე: იმ ბიზნესების თანამშრომელთათვის, რომლებმაც დახურვა გადაწყვიტეს.
საოფციო კონტრაქტის	მყარი თანხა	400 - 800 ლარი	400-800 ლარს სთავაზობენ დპ-ებს, იმის მიხედვით, თუ რამდენად ნაყოფიერია მათი მიწა: რაც უფრო ნაყოფიერია

290038/TRD/EFR/მშსა/B 31 2013 წლის მაისი

C:\დოკუმენტები და Settings\rot62082\My დოკუმენტებისპროექტის\საქართველოსაქარაშუახვევისგანახლდეს მშსა ოქტომბერი, 2013 წლის\მშსა\შუახვევის მშსა Rev C FINAL 30 08 13 - new ტაბულაშის.doc

ნებართვები	ერთეული	თანხა	შენიშვნები
ხელმოწერა - დახმარება		100 ლარი	მიწა, მით უფრო მაღალია თანხა 100 ლარს სთავაზობენ ყველა დპ-ს სოფელში, თუკი მათ პოტენციურად ენიჭებათ უფლება, მიიღონ კომპენსაცია (რაც ფორმით) - იმ შემთხვევაში, თუ სქემა საერთო მიწა დასჭირდა.
ფულადი შეღვათი / დახმარება მოწყვლადთა თვის	მყარი თანხა	10% მიწის შეფასების	ყველა მიწის ნაკვეთის შეფასება უნდა გაიზარდოს 10%-ით: ასეთია ფულადი შეღვათი / დახმარება მოწყვლადთათვის.
მხარდაჭერა ზარალის დროს	დპ	ნატურით	დპ-ებთან კონსულტაციაზე შემოთავაზებული სახნავ-სათესი მიწა (ნატურით) ხელსაყრელი მდგომარეობისა და აზრიანი მანძილისთვის. ნიადაგის ზედა ფენას მოცილებული მიწა მომზადებული იქნება საქონლისთვის და მოსავლისთვისაც. დპ-ები მიიღებენ საქონლის საკვებს (თივა და მარცვლეულობა), სანამ ბალახი საკმარისად გაიზრდება.
საარსებო საშუალებათა აღდგენა	დპ	არ გააჩნია ექვივალენტ ური თანხა	დპ-ები მიწვეულ იქნებიან ფინანსური მენეჯმენტის სემინარებზე, რათა მათ შესძლონ გრძელვადიანი ინვესტიციებისათვის დაზოგონ კომპენსაციის სახით მიღებული ნაღდი ფული. დპ-ებს აღმოუჩენენ დახმარებას მათი მიწის რეგისტრაციაშიც (საარქივო საბუთებით).

წყარო: შაჯ LAR-ის გუნდი, 2012 წლის ოქტომბერი და 2013 წლის სექტემბერი

7. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

7.1 ზოგადი მიმოხილვა

მშსა ხედავს მოთხოვნილებას კონსულტაციის და მონაწილეობის მიღებაზე თითოეული სქემისათვის, ითვალისწინებს რა საერთაშორისო მოთხოვნილებას დპ-ების მიმართ, რომ მათ მიიღონ კონსულტაცია და შესძლონ მონაწილეობის მიღება გადასახლების პროგრამის დაგეგმარებასა და განხორციელებაში. საერთაშორისო მიდგომა ასევე ითვალისწინებს ამგვარ ყურადღებას (კერძოდ, კონსულტაციის გაწევას) მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. კონსულტაციებზე გენდერული მოსაზრებანიც არის მოსალოდნელი. მოცემულ განაკვეთში აღწერილია ინფორმაციის გახმაურება / გამოქვეყნება და კონსულტაციის გაწევა, რათა დპ-ები შეგნებით მოეკიდონ მათი მიწის ნაკვეთების შეძენასა და გადასახლებასთან (LAR) დაკავშირებულ ნებართვებსა და ვარიანტებს. საჩივრების მართვა და დაკმაყოფილება აღწერილია მე-8 განაკვეთში.

7.2 ინფორმაციის გახმაურება / გამოქვეყნება, კონსულტაცია და მონაწილეობა

მოცემული სქემა ყველაზე სრულყოფილია, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის თვალსაზრისით. 2011 წელს, შაჯ მშგ-ს პერსონალმა დაიწყო კონტაქტები და ურთიერთქმედება დპ-ებთან.

2012 წლის ივნისში, სტარტი აიღო მშგ-ს სავსელ გამოკვლევამ. როდესაც კომლის თავები ავსებდნენ კითხვარებს, შაჯ ავრცელებდა გადასახლებასთან დაკავშირებულ ბუკლეტს იმისათვის, რომ აეხსნათ მათთვის მიწის ნაკვეთების შეძენის პროცესი. ბუკლეტი აღწერდა პროექტს, მშგ-ს პრინციპებს, შერჩევას / ნებართვებს, ინსტიტუციონალურ გარიგებებსა და ჩივილის პროცედურებს (იხ. **Error! Reference source not found.**, სადაც მოთავსებულია მოცემული ბუკლეტის ასლი). იხ. ტაბულა 7.1: იქ მოცემულია ადგილობრივ თემებთან მოლაპარაკება-გარიგებების დეტალები.

ტაბულა 7.1: ზოგადი მიმოხილვა: შაჯ-ს მიერ კონსულტაციის და ინფორმაციის გახმაურება / გამოქვეყნების ღონისძიებანი

თარიღი	ადგილმდებარეობა	დამსწრეთა რიცხვი	განხილული საკითხები
2011			
14 ივნისი	ხულოს ადმინისტრაციის შენობა	25	პროექტის გახმაურება / გამოქვეყნება შეხვედრაზე ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან
19 ივლისი	- შუახევის ადმინისტრაციის შენობა - ოლადაური - ჩვანა	150-ზე მეტი	შეხვედრების შესაძლებლობათა სფეროს განსაზღვრა

თარიღი	ადგილმდებარეობა	დამსწრეთა რიცხვი	განხილული საკითხები
	დიდაჭარა		
20 ივლისი	- ქედას ადმინისტრაციის შენობა - მერისი - აჭარისწყალი	200	შეხვედრების შესამდგომლობათა სფეროს განსაზღვრა
ოქტომბერი	იაკობაძეები	30	- პროექტზე ზოგადი ინფორმაციის გახმაურება / გამოქვეყნება - ჭაბურღილების გათხრა
1 დეკემბერი	დიდაჭარა	50	პროექტზე ზოგადი ინფორმაციის გახმაურება / გამოქვეყნება
2012			
8 ივნისი	- ხულოს ადმინისტრაციის შენობა - შუახევის ადმინისტრაციის შენობა	90	საჯარო კონსულტაცია გზმ-ს შესახებ
9 ივნისი	- ქედას ადმინისტრაციის შენობა - აჭარისწყალი	120	საჯარო კონსულტაცია გზმ-ს შესახებ
20 ივლისი	ფაჩხა	15	მიწის კომპენსაცია მოსალოდნელი / მომავალი სამუშაოსთვის
27 ივლისი	დიდაჭარა	10	- მეწყერი - გეოლოგია - მიწის საზღვარი
	კვატია	50	- გეოლოგია - კომპენსაცია ადრე აღებული მიწისათვის მდინარესთან - კომპენსაცია მდინარის კალაპოტისათვის (უკანასკნელად გამოყენდა 1989 წელს)
15 აგვისტო	ბათუმი	6	როგორ მოხდა მიწა გაზომვა?
5 სექტემბერი	- ახალდაბა - ფაჩხა - წაბლანა	25	ვიზიტი საიტზე სამუშაოთა დაწყებამდე
7 ნოემბერი	ფაჩხა	50	ადგილობრივი მოსახლეობის შეშფოთება მეწყერის გამო
2013			
8 თებერვალი	დიდაჭარა	70	ადგილობრივი მოსახლეობა მოითხოვს პროექტის შეწყვეტას, ვინაიდან მან შეიძლება

290038/TRD/EFR/შსსა/B 31 2013 წლის მაისი

C:\დოკუმენტები და Settings\rot62082\My დოკუმენტებისპროექტის\საქართველოსაქარაშხაქვისგანახლდესd შსსა ოქტომბერი, 2013 წლის\შსსა\შუახევის შსსა Rev C FINAL 30 08 13 - new ტაბულაშის.doc

თარიღი	ადგილმდებარეობა	დამსწრეთა რიცხვი	განხილული საკითხები
გამოიწვიოს მეწყერი			
13 თებერვალი	■ დიდაჭარა	40	■ მეწყერი
15 თებერვალი	■ დიდაჭარა	55	■ შაჯ არ იქნა დაშვებული ძირითად ბურღვაზე
16 თებერვალი	■ კვატია	15	■ შაჯ არ იქნა დაშვებული ძირითად ბურღვაზე
13 მარტი	■ კვატია	40	■ მდინარის მარცხენა ნაპირზე მცხოვრები 10 ოჯახი მოითხოვს კომპენსაციას ან გადასახლებას.
	■ წაბლანა	40	
	■ ფაჩხა	40	
14 მარტი	■ ჩანჩხალო	28	■ ზოგადი საპროექტო ინფორმაციის გახმაურება / გამოქვეყნება
	■ ახალდაბა	30	
21 მარტი	■ მახალაკიძეების	50	■ ზოგადი საპროექტო ინფორმაციის გახმაურება / გამოქვეყნება
20 აპრილი	■ ხულოს ადმინისტრაციის შენობა	9	■ შეხვედრა ხულოს ახალ მერთან და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან
1 მაისი	■ კვატია	30	■ შეხვედრა სოფლის გაბრაზებულ მაცხოვრებლებთან რომელნიც მოითხოვენ კომპენსაციას ან გადასახლებას. (მდინარე სხალთას მარცხენა ნაპირზე)

წყარო: შაჯ

მოსალოდნელია, რომ რახან მიწის ნაკვეთების შეძენის პროცესი გაგრძელდება, იქნება მეტი საჭიროება მიმდინარეობის ინფორმაციის გახმაურების / გამოქვეყნების და კონსულტაციის გაწევის. საჯარო ან ჯგუფური შეხვედრები გადასახლების და კომპენსაციის საკითხებზე რეაგირებისათვის იქნება გამოცხადებული დროულად, რათა დპ-ების მიზნობრივი ჯგუფების მაქსიმალური დასწრება იყოს.

ამასთან ერთად, კონსულტაციის გაწევა პირდაპირ დპ-ებს, დაინტერესებული პირების კონსულტაციის გაწევის სქემა მშგ-ოპერაციები შეიცავს:

- მუნიციპალური ხელმძღვანელები;
- სათემო ლიდერები;
- ბათუმის სატყეო სააგენტოს პერსონალი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარე და აჭარის ეკონომიკის სამინისტრო;
- კერძო სექტორის უძრავი ქონება;
- პროფესიონალების ასოციაცია მიწაზე და საკუთრებაზე (APLP);
- ეროვნული სასამართლო ბიუროს ბათუმის ფილიალი;

290038/TRD/EFR/მშსა/B 31 2013 წლის მაისი

C:\დოკუმენტები და Settings\rot62082\My დოკუმენტები\პროექტის\საქართველოს\აჭარა\შუახვევის\განახლებად მშსა ოქტომბერი, 2013 წლის\მშსა\შუახვევის მშსა Rev C FINAL 30 08 13 - new ტაბულაში.doc

- ექსპერტი XXI;
- შპს. ციტრუსი და ჩაი;
- ქობულეთის პროფესიული ცენტრი; დაბოლოს,
- ენერგეტიკის სამინისტრო და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ფოკუს-ჯგუფების დისკუსიები ჩატარდა თემის წევრებთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრზე (გზშ-ს დროს და მისი დასრულების შემდეგ). ამას წინათ, 2013 წლის სექტემბერში, შედგა ხუთი ფოკუს-ჯგუფი: ისინი ორგანიზებულ იქნა ქალბატონების მიერ, სხვადასხვა სოფლებიდან.

2011 წლის დეკემბრიდან LAR-ის გუნდი რეგულარულად აწარმოებს ბიულეტენებს უფროსი პერსონალისთვის ეროვნულ და ადგილობრივ მთავრობაში, რათა ეს დაინტერესებული პირები იცვნიენ ინფორმირებული პროექტი ოპერაციების მიმართ, ისევე როგორც მიწის ნაკვეთების შეძენის და გადასახლების სტატუსზე. ეს ბიულეტენები გააგრძელებენ რეგულარულ გამოსვლას და მიწის ნაკვეთების შეძენის პროგრესი იქნება აღწერილის, სანამ არ დასრულდება.

სხვა დაგეგმილ ინფორმაცია გამხელა შეიცავს:

- წარმოება და გავრცელება საქართველოს არატექნიკური რეზიუმეების მშსა და სრულ ასლებს მშსაგ და გსგ-ების რელევანტურ მუნიციპალურ ადგილმდებარეობებში, ისევე როგორც პროექტის ვებსაიტზე.
- ინგლისური მშსა ატვირთვა მოცემულ გეგმასთან ერთად კრედიტორების ვებსაიტებზე, რათა ხელი შეუწყოს გამჭვირვალებას მათი დაკრედიტების ოპერაციების მიმართ.

მოცემული მშსა იქნება გამხილული ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტებში. აღიარებულია, რომ თუ ექნება ადგილი ახალი პროექტის ზემოქმედებებს, რომლებიც მოითხოვენ მიწის ნაკვეთების შეძენას ან იწვევენ გადასახლებას, მაშინ მოცემული მშსა საჭიროებს განახლებას და ახალი ვესის გამხელას. ნებისმიერი განახლებული მშსა–ს გამხელა ქალაქის ასლებით რელევანტური ადგილმდებარეობებში და ინტერნეტით იქნება განხორციელებული დროულად, რაც ნებას მისცემს მნიშვნელოვანი კონსულტაციის გაწევას.

8. საჩივრების მართვა და დაკმაყოფილება

8.1 ზოგადი მიმოხილვა

მიწის ნაკვეთების შეძენისა და გადასახლების საკითხებზე საუბარი დაინტერესებულ პირებთან AGL ცდილობს, ისეთნაირად წაიყვანოს, რომ საკითხები და მათი განხილვა სამართლიანი, გამჭვირვალე და მომრიგებლური იყოს. წინასწარ უნდა იქნას უზრუნველყოფილი ის, რომ არ გაჩნდეს არც საჩივრები, არც სარჩელები. იმ შემთხვევაში, როდესაც მიწის ნაკვეთის შეძენა ფრთილოად და ზრუნვით ხდება, როდესაც სახეზეა სრული დასწრება და კონსულტაციის გაწევა დპ-ებისთვის, როდესაც სხვადასხვა და მონაწილე ორგანოებს შორის ჯეროვნად აწყობილი კოორდინაცია და კომუნიკაცია სუფევს - მაშინ AGL შეეცდება, თავიდან აიცილოს საჩივარი. შესაძლებელია ასეთი განსაზღვრება ცნებისა 'საჩივარი': ესაა აღქმული ან აქტუალური პრობლემა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ჩივილი / პრეტენზია. მიუხედავად ამისა, დპ-ებს უფლება აქვთ, არ დაეთანხმონ გადაწყვეტილებას, პრაქტიკას ან საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთების შეძენასა და გადასახლებასთან. LALRF-მა უნდა გამოავლინოს გადასახლებასთან დაკავშირებული საჩივრების საკომპენსაციო მექანიზმი.

მოცემულ განაკვეთში მოყვანილია გადასახლებასთან დაკავშირებული საჩივრების საკომპენსაციო მექანიზმი და განხილულია მისი მნიშვნელობა / აქტუალობა სქემისათვის - როგორ არის სიტუაცია დანახული დღევანდელი დღეს.

8.2 უზენაესი პრინციპი: პროექტთან დაკავშირებულ საჩივართა კომპენსაცია

საჩივრით მოძიებული საკომპენსაციო მექანიზმს შემდეგი პრინციპები უდევს საფუძვლად:

- დპ-ები სავესებით ინფორმირებულნი უნდა იყონ მათი უფლებებისა და მათ საჩივრებთან / პრეტენზიებთან მოპყრობის პროცედურების შესახებ, იქნება ეს პრეტენზიები წერილობითი ან სიტყვიერი და როდის წამოიჭრება ისინი - კონსულტაციის დროს, გამოკვლევაზე, და/ან კომპენსაციის მიღების მომენტში;
- თითოეული საჩივარი იქნება რეგისტრირებული, მისი ჩაბარება - აღიარებული, და იგი მიკვლეული იქნება შეწყვეტის მომენტამდე;
- ყველა საჩივარი იქნება დამუშავდება და მასზედ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება - დროის ჰაზრიან პერიოდის შემდეგ; დაბოლოს,
- უზენაეს მიზანს წარმოადგენს შეძებისდაგვარად თავიდან იქნას აცილებული სასამართლო გარჩევები რაც შესაძლოა მეტი საჩივრებისა.

ენა, წერა-კითხვის ცოდნა და გენდერული მდგომარეობა არ წარმოადგენს ბარიერებს მომჩივანთათვის. საჩივრის მიტანა-ჩაბარება არც რაიმე ხარჯების წყაროა.

8.3 საჩივრებით გამოწვეული დავების გადაწყვეტის პროცესი

პროექტით გამოწვეულ გადასახლებასთან დაკავშირებულ საჩივრებზე აღძრული დავების გადაწყვეტის პროცესი დეტალურად არის ნაჩვენები მშსა და შეჯამებული შემდეგ ტაბულა 8.1.

ტაბულა 8.1: საჩივრებით გამოწვეული დავების გადაწყვეტის პროცესი

ნაბიჯები	საჩივრით მოძიებული კომპენსაცია ღონისძიებანი
1	შაჯ-ის LAR-ის გუნდი ააწყო საჭირო სისტემას იმისათვის, რომ თითოეული დპ-ის საჩივარი წავიდეს სწორი მისამართით და საჭირო ხელში
2	პირველი ინსტანცია: დპ-ს შემოაქვს საჩივარი და განაჩენივ მიღებულია სწრაფად (ათიოდე დღეში), თუმცა არაფორმალურ დონეზე - მასში მონაწილეობას მიიღებენ პროექტის რელევანტური პირები და სუბიექტები (მაგ., შაჯ მშგ-ის თანამშრომლები, დამოუკიდებელი მონიტორინგის ოფიცერი) ან ადგილობრივი გავლენიანი ლიდერი.
3	თუკი დავა ჯერაც არ არის გადაწყვეტილი, დპ-ს შეუძლია, უჩივლოს შაჯ მშგ-ს მენეჯერს: მას გადაწყვეტილების მიღებისათვის 15 დღემდე დასჭირდება.
4	თუკი დავა ჯერაც არ არის გადაწყვეტილი, 15 დღეში დპ-ის საჩივარი გადავა საჩივართა გახსნის კომიტეტში, რომელსაც აგრეთვე აქვს 15 დღე, რომ მიაგნოს სამართალს
5	ბოლოს, თუკი დპ-მ ჯერაც ვერ მიიღო საჩივრით მოძიებული კომპენსაცია, დპ-ს უფლება რჩება, მიმართოს საქართველოს სტატუტური და საერთო სამართლის ნორმებით მოქმედ სასამართლოს. ამ ინსტანციაზე, შაჯ-ს მოსთხოვენ, გადაიტანოს ფული ე.წ. „ესქროლ-ანგარიშზე“ (პირობით დეპოზიტზე).

8.4 საჩივართა აღნიშვნა / ჩაწერა და პროტოკოლირება

შაჯ მშგ-გუნდი აფიქსირებს ნებისმიერ საჩივარს, რომელსაც ჩააბარებენ ადგილობრივ მთავრობას და მათ პერსონალს. გუნდის წევრები ასევე გააყოლებენ ხოლმე თვალს ოპერაციებს, სანამ დრო არ ამოიწურა და გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული. შაჯ მშგ-გუნდი პასუხს აგებს იმაზეც, რომ მომხივანმა ყველაფერი იცის თითოეული განაჩენის მოლოდინში განხორციელებულ ყველა ოპერაციისა და გადაწყვეტილების შესახებ.

გადასახლება დღიური შეიქმნა 2012 წლის იანვარში - სწორედ მოცემული სქემისათვის. ამჟამად, მიღებულია 70 საჩივარი, რომელთაგანაც 24 არის დაკავშირებული მიწასთან და ხეებისათვის გაწეულ კომპენსაციასთან, აგრეთვე გადასახლებასთან. 2013 წლის მაისში, ამათგან შვიდი საქმე ჯერაც უპასუხოდ რჩებოდა. საჩივრები ძირითადად შეეხება კომპენსაციის თანხებსა და შეძენილი მიწის ნაკვეთთა საზღვრებს. კომპენსაციის საკითხები პირდაპირ / მოლაპარაკებით გადაწყდება ხოლმე. რაც შეეხება კამათებს საზღვრების თაობაზე, ეს არ არის შაჯ-ის კომპეტენციაში და უნდა გადაწყდეს მეზობლებს შორის, მუნიციპალიტეტის მხრიდან გაწეული მხარდაჭერით. შაჯ ცდილობს, შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი ამ პროცესი, მაგრამ აღმოაჩენს თანადგომას, როგორც კი ეს შეუძლია.

დაარსდა საჩივართა კომიტეტი, რომელიც შედგება კომპანია Expert XXI-ისა და შაჯ-ს წარმომადგენლებისაგან. შაჯ-ს წარმომადგენლები, და მათ შორის: კავშირის ოფიცერი, მიწის ოფიცერი, მიწისა და საზოგადოებრივი საკითხები დირექტორი, და აგრეთვე პროექტის დირექტორის მოადგილე. ეს კომიტეტი იბარებს საჩივრებსა, მიმოიხილავს მათ შიდა თათბირებზე, შემდეგ კი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას - განაჩენს. რელევანტურ სიტუაციებში, კომიტეტი სარგებლობს სათემო ლიდერებისა და წარმომადგენელთა კონსულტაციებით იმისათვის, რათა მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. 2013 წლის მაისში, შაჯ მშგ-გუნდის ანგარიშების თანახმად, საჩივართა მექანიზმი კარგად ფუნქციონირებს.

9. საარსებო საშუალებათა აღდგენა

9.1 ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარსებო საშუალებათა აღდგენა აუცილებელი არ არის. მაგრამ სწორედ ესაა IFC-ისა და EBRD-ის მოთხოვნა. ყურადღების გამახვილება საარსებო საშუალებათა აღდგენაზე კარგ სტრატეგიას წარმოადგენს, რომლის მიზანია, დაეხმაროს მოსახლეობას, დიდად არ დაზარალებეს ან, შეიძლება, უკეთესადაც იყოს მიწის ნაკვეთების შეძენისა და გადასახლების შემდეგ. საარსებო საშუალებათა აღდგენასთან დაკავშირებული საქმიანობა სქემისა ქვემოთ არის აღწერილი.

9.2 უნარ-ჩვევები თრენინგები და ადგილობრივ კადრთა დასაქმების პრიორიტეტი

კონსულტაციის ოპერაციები იმას მოწმობს, რომ პროექტის მოქმედების არეალში მცხოვრები ხალხი და დპ-ები ძლიერ არიან დაინტერესებული იმით, რომ რაიმე მოგება ნახონ პროექტისაგან.

შაჯ-მ წამოიწყო უნარ-ჩვევების რუკების შედგენა რათა გამოეცლინა ადგილობრივი უნარ-ჩვევების ჭარბი და მეჩხერი ადგილები. მათი ყურადღება მიიქცია შესაძლებლობამ, ანუ ალტერნატივამ, ადგილობრივი შინაარსი იქნას შემოთავაზებული. უნარ-ჩვევები რუკების საფუძველზე, შაჯ-მ გადაწყვიტა, განეხორციელებინა ადგილობრივი უნარ-ჩვევები განვითარების პროგრამა - იმისათვის, რომ მომზადებული, დახვეწილი უნარ-ჩვევები მომავალშიც სასარგებლო იყოს - მაგალითად, პროექტის სამშენებლო ფაზაზე და მის შემდგომ.

პროგრამა, რომელიც დაიწყო 2013 წლის 3 თებერვალს, მიზნად ისახავს განვითარებას იმ უნარ-ჩვევებისა, რომელნიც უკვე ახლა სჭირდება - შემდუღებლებს, ელექტრიკოსებს, ექსკავატორისა და ამწე-კრანის ოპერატორებს, მრავალ სხვასაც... მომავალი მუშები გაივლიან თრენინგებს შრომის უსაფრთხოებაშიც.

შაჯ დაავალა, კონტრაქტორების მეშვეობით წარუდგინოს უნარ-ჩვევების ეს თრენინგები სულ ცოტა, 600 მაცხოვრებელს. 2013 წლის სექტემბერში, 500-ზე მეტმა მონაწილემ წარმატებულად გაიარა თრენინგები და მოიპოვეს ეროვნული სერტიფიკატები - თითოეულმა თავის ხელობაში. წარმატებულ კანდიდატებს პროექტის შესთავაზებს შეღავათებს სამშენებლო კონტრაქტორად შერჩევის საქმეში. დიდი უმრავლესობა მონაწილეებისა - „გუშინდელი“ დპ-ები არიან! - თუმცა, პროგრამა ღიაა ყველა ადამიანისათვის, ვინც პროექტის მოქმედების არეალში ცხოვრობს (და არამარტო დპ-ებისათვის!). LALFR გვთავაზობს მეტ დეტალს უნარ-ჩვევების თრენინგებისა და ადგილობრივი კადრების დასაქმების პრიორიტეტებზე.

9.3 კომპენსაციის ფინანსური მართვა

საკომპენსაციო თანხის მარაგი შეგვიძლია შევადაროთ კომლის ჩვეულებრივ წლიურ შემოსავალსა და დანაზოგს სქემის დპ-ებისათვის. შაჯ გახდება სპონსორი სემინარის ან სემინართა სერიისა ფინანსურ მენეჯმენტში (დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი დაზარალებდა ადგილობრივ მაცხოვრებელთაგან), დპ-ები სიამოვნებითა და ინტერესით დაესწრებიან ამ სემინარ/ებს. სწორედ მათთვის იქნება

აღმოჩენილი დიდი მხარდაჭერა - დამოუკიდებელი ფინანსური რჩევა, გამოიყენონ მათი კომპენსაცია მეთოდურად და გეგმაზმიერად, ისეთნაირად, რომ გრძელვადიან კარგად-ყოფნას მიაღწიონ, და არა ხანმოკლე სიამოვნებას!

9.4 ფინანსური დახმარება საარსებო საშუალებათა აღსადგენად

